

აუდიტური ფირმა

ბაკაშვილი და კომპანია

AUDIT FIRM BAKASHVILI AND COMPANY



Tel.: (995 32) 399 112 Fax: (995 32) 399 113
www.bakashviliandco.com
E-mail: contact@bakashviliandco.com

სამართველო, თბილისი, 0160, ალ. ჯაზბეგის 47. ბინა 10
10 FLAT, 47, AL. KAZBEGI AVE. TBILISI. 0160. GEORGIA

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ფინაგრო“

ფინანსური ანგარიშგება

შ.პ.ს. აუდიტური ფირმა „ბაკაშვილი და კომპანია“-ს

აუდიტორული დასკვნა

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა

2010 წლის 31 დეკემბერს

შინაარსი:

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა -----	3
ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ -----	4
სრული შემოსავლის ანგარიშგება -----	5
ანგარიშგება სააქციო კაპიტალში ცვლილებების შესახებ -----	6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება -----	7
1. ზოგადი ინფორმაცია -----	8
2. ახალი ფასს-ების მიღება -----	8
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები -----	15
4. სააღრიცხვო პოლიტიკა -----	16
5. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მართვა-----	27
6. სესხის პორტფელი -----	32
7. გადავადებული საგადასახადო აქტივი -----	35
8. გრანტები კაპიტალში -----	35
9. კრედიტორული დავალიანება-----	35
10. საგადასახადო ვალდებულება -----	35
11. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები -----	36
12. გრძელვადიანი სესხი -----	37
13. სააქციო კაპიტალი -----	37
14. შემოსავლები -----	38
15. შემოსავლები სხვა ოპერაციებიდან -----	38
16. საპროცენტო ხარჯი -----	39
17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი -----	39
18. საგადასახადო ხარჯი -----	43
19. სხვა ხარჯები-----	40
20. მოგების გადასახადის ხარჯი-----	40
21. ფული და ფულის ექვივალენტები-----	40
22. ინსაიდერებზე გაცემული სესხები-----	41
23. საქმიანობის უწყვეტობა-----	41
24. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები -----	42

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშებზე

წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებების ინსტრუქციის შესაბამისად მომზადებასა და უტყუარად და სამართლიანად წარდგენაზე პასუხისმგებელია ორგანიზაციის ხელმძღვანელობა. ეს პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რომელიც უზრუნველყოფს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას და წარდგენას, რომელიც არ შეიცავს შეცდომებით თუ თაღლილობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს; შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკების შერჩევას, მათ მიზანმიმართულად გამოყენებას და სიტუაციისათვის შესაბამისი სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობა ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვამთ მოსაზრება წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შესახებ. აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტები ჩვენგან მოითხოვს ეთიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობას და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

დამკვეთს ეცნობა "აუდიტორული საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის შესახებ, რითაც "პასუხისმგებლობა ბუღალტრული და საფინანსო ანგარიშგების სწორად შედგენისა და მათი მომხმარებლისათვის წარდგენისათვის ეკისრება სამეურნეო სუბიექტის ხელმძღვანელს", აგრეთვე "აუდიტორის ეთიკის კოდექსის" მე-8 მუხლის "ინფორმაციის კონფიდენციალურობისა" და მე-9,5. მუხლის "აუდიტორისათვის შეუთავსებელი ქმედებების" შესახებ, რომელიც გულისხმობს აუდიტორისათვის მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობასა და აუდიტორისათვის შეუთავსებელ ქმედებებს.

გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულობები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია ჩვენი აუდიტისთვის.

დასკვნა

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "ფინაგროს" ფინანსურ მდგომარეობას 2010 წლის 31 დეკემბრისათვის, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტორი:

ექსპერტ-ფინანსისტი:

დირექტორი, აუდიტორი:

შპს "ბაკაშვილი და კომპანია"

თარიღი 07.11.2011



/გ.გულუა/

/გ.ზაქაიძე/

/ნ.ბაკაშვილი/

	შენიშვნა	2010
მიმდინარე აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	21	643,538
მოლიანი სესხის პორტფელი	6	6,309,203
სესხის დანაკარგების ანარიცხები	6	(479,465)
წმინდა სესხის პორტფელი	6	5,829,738
		6,473,276
გრძელვადიანი აქტივები		
გადავადებული საგადასახადო აქტივი	7	48,480
ძირითადი საშუალებები	11	256,630
		305,110
სულ აქტივები		6,778,386
კაპიტალი და ვალდებულებები		
მიმდინარე ვალდებულებები		
კრედიტორული დავალიანება	9	29,332
საგადასახადო ვალდებულება	10	132,789
		162,121
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხი	12	2,075,937
		2,075,937
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	13	3,671,370
გრანტები კაპიტალში	8	507,540
გაუნაწილებელი მოგება		361,418
		4,540,328
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		6,778,386

გენერალური დირექტორი

 ი. არდემანაშვილი

ფინანსური მენეჯერი


 ე. ნანოშვილი

8 - 42 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს მისო "ფინაგრო"
სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ლარებში)

	შენიშვნა	2010
საპროცენტო შემოსავალი	14	1,248,264
ფინანსური მომსახურების საკომისიო	14	153,324
შემოსავალი ჯარიმებიდან	14	29,166
შემოსავალი სხვა ოპერაციებიდან	15	16,168
საექვო სესხების ანარიცხების ხარჯი	7	(365,444)
საერთო მოგება		1,081,478
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	17	(745,623)
საგადასახადო ხარჯი	18	(136,801)
სხვა ხარჯი	19	(57,621)
კურსთაშორის სხვაობიდან წარმოშობილი მოგება(ზარალი)	19	183,021
საპროცენტო ხარჯი	16	(30,277)
მოგება დაბეგვრამდე		294,177
მოგების გადასახადის ხარჯი	20	(165,279)
წმინდა მოგება		128,898

გენერალური დირექტორი

 ი. არდემანაშვილი

ფინანსური მენეჯერი

 ე. ნანოშვილი

8 – 42 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს მისო "ფინაგრო"
 ანგარიშგება სააქციო კაპიტალში ცვლილებების შესახებ
 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ლარებში)

	მფლობელთა კაპიტალი	გაუნაწილებელ მოგება	სულ
ნაშთი 2007 წლის 31 დეკემბრისთვის	3,671,370	16,789	3,688,159
წმინდა მოგება	-	182,473	182,473
ნაშთი 2008 წლის 31 დეკემბრისთვის	3,671,370	199,262	3,870,632
წმინდა მოგება	-	33,258	33,258
ნაშთი 2009 წლის 31 დეკემბრისთვის	3,671,370	232,520	3,903,890
წმინდა მოგება	-	128,898	128,898
ნაშთი 2010 წლის 31 დეკემბრისთვის	3,671,370	361,418	4,032,788

გენერალური დირექტორი

 ი. არდემანაშვილი

ფინანსური მენეჯერი

 ე. ნანოშვილი

8 - 42 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან

<i>მოგება / ზარალი დაბეგვრამდე</i>	128,898
კორექტირებები:	
<i>ძირითადი საშუალებების ცვეთა</i>	51,810
<i>საექვო სესხების ანარიცხების ხარჯი</i>	365,444
<i>საპროცენტო ხარჯი</i>	1,492
<i>შემოსავალი სხვა ოპერაციებიდან, გად.საგად. აქტივის კორექტირება</i>	1,855
<i>(მოგება) / ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან</i>	9,805
<i>(მოგება) / ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან</i>	(183,021)
(მოგება)/ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	376,283
კლება/(ზრდა):	
<i>სესხების პორტფელი</i>	(2,280,901)
<i>კრედიტორული დავალიანება</i>	28,460
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(1,876,158)
<i>გადახდილი მოგების გადასახადი</i>	(25,365)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(1,901,523)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	
<i>ძირითადი საშუალებების შესყიდვა</i>	(78,963)
<i>ძირითადი საშუალებების გასვლა</i>	13,805
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(65,158)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	
<i>სესხის მიღება</i>	2,022,909
<i>გრანტის მიღება</i>	220,500
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	2,243,409
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა/შემცირება	302,093
ფულადი სახსრები წლის დასაწყისში	341,445
ფულადი სახსრები წლის ბოლოსთვის	643,538

გენერალური დირექტორი

 ი. არდემანაშვილი

ფინანსური მენეჯერი

 ე. ნანოშვილი

8 – 42 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1. ზოგადი ინფორმაცია

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ფინაგრო“ (სს მისო „ფინაგრო“) დაფუძნებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის მიერ 2007 წლის 15 ნოემბერს. რეგისტრირებულია გორის საგადასახადო ინსპექციის მიერ. მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი 218077113. ორგანიზაციის სააქციო კაპიტალი შეადგენს 3,671,370 ლარს, ხოლო აქციების 100%-ის მფლობელია საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი.

საზოგადოების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირები არიან:

20001002591, ლევანი ბოდაველი,

59001011467, ემზარ ნანოშვილი,

43001002056, ივანე არდემანაშვილი, გენერალური დირექტორი.

01018000015, ნოდარ კვიციანი,

18001004292, დავით ჩიხლაძე,

40001000192, იმედა ყაჯრიშვილი,

საწესდებო კაპიტალი 3,671,370 ლარი დანაწევრებულია 1 ლარის ნომინალური ღირებულების ჩვეულებრივ აქციებად. ყოველი ჩვეულებრივი აქციის მფლობელს გააჩნია ერთი ხმის უფლება სააქციო საზოგადოების აქციონერთა საერთო კრებაზე. ორგანიზაციის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. გორი, მშვიდობის გამზირი #1ა.

ორგანიზაციის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება. თითოეული სერვის-ცენტრის ყოველდღიურ საქმიანობის ზედამხედველობას ახორციელებს მმართველი, რომელსაც ნიშნავს სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ფინაგროს“ სამეთვალყურეო საბჭო გენერალური დირექტორის წინადადებით.

ორგანიზაციის მიზანია, ხელი შეუწყოს და ფინანსური დახმარება გაუწიოს უპირატესად საქართველოს სასოფლო სამეურნეო რეგიონებში მოღვაწე ფერმერებს, წვრილ და საშუალო მეწარმეებს, რომლებიც აქტიურად არიან ჩაბმულნი სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების, გადამამუშავების, რეალიზაციის, მომსახურებასა და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ სხვა სფეროებში.

ორგანიზაციის მთავარი საქმიანობაა მიკრო სესხების გაცემა. ორგანიზაციის ფინანსური პროდუქტებია: ინდივიდუალური ბიზნეს სესხები, აგრო ბიზნეს სესხები, სამომხმარებლო სესხები.

ორგანიზაციას აქვს სათავო ოფისი (გორი) და სამი რეგიონალური ფილიალი (თელავი, წნორი, მარნეული.)

2. ახალი ფასს-ების მიღება

სტანდარტები, შესწორებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ძალაში შედის 2009 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ პერიოდში:

სტანდარტი/ინპრეტაცია	შინაარსი	ფინანსური წლისათვის, რომელიც იწყება ქვემოთ მოცემულ თარიღში, ან მის შემდგომ
ბასს 23	სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები	1 იანვარი 2009
ბასს 21	უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგები	1 ივლისი 2008
ბასს 39	დამატებები ბასს 39-სა და ფასს 7-ზე ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაცია	1 ივლისი 2008
ბასს 8	სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები	1 ივლისი 2008
ბასს 40	საინვესტიციო ქონება (და მის შედეგად მიღებული შესწორებები ბასს 16-ზე)	1 იანვარი 2009
ბასს 7	ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული გაუმჯობესებული განმარტებითი შენიშვნები	1 იანვარი 2009
ბასს 1	ფინანსური ანგარიშგების წარდგენა	1 იანვარი 2009
ფაისკ 16	უცხოურ ქვეგანაყოფში განხორციელებული ნეტო ინვესტიციის ჰეჯირება	1 ოქტომბერი 2009

• ბასს 23 - „სესხით სარგებლობასთან დაკავშირებით დანახარჯები“ - სტანდარტის მიზანია სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდების დადგენა.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების ხარჯების სახით აღიარება ხდება მათი გაწვევითანავე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ნებადართულია მათი კაპიტალიზაცია.

განსაკუთრებული აქტივის შეძენასთან, წარმოებასთან ან მშენებლობასთან უშუალოდ დაკავშირებული სესხის სარგებლობის დანახარჯები უნდა აღირიცხოს აღნიშნული აქტივის საბალანსო ღირებულებაში ანუ მოხდეს მათი კაპიტალიზაცია. განსაკუთრებული აქტივების შეძენასთან, წარმოებასთან ან მშენებლობასთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს მიეკუთვნება სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ის დანახარჯები, რომელთა თავიდან აცილება შესაძლებელი იქნებოდა, აუცილებელი რომ არ ყოფილიყო განსაკუთრებულ აქტივებთან დაკავშირებული დანახარჯების გაწევა. თუ საწარმო სესხს იღებს მხოლოდ განსაკუთრებული აქტივების შეძენის წარმოების ან მშენებლობის მიზნით, მაშინ შესაძლებელია სესხით

სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების იმ ნაწილის საიმედოდ განსაზღვრა, რომელიც უშუალოდ უკავშირდება მოცემულ აქტივს.

- ბასს 21 - „უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები“ - სტანდარტის მიზანია უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციების წარდგენა სამუშაო ვალუტაში. უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაცია ისეთი ოპერაციაა, რომელიც განსაზღვრულია უცხოურ სავალუტო ერთეულებში ან მოითხოვს ანგარიშსწორებას უცხოური ვალუტით. ასეთი ტიპის ოპერაციები წარმოიშობა მაშინ, როდესაც: (საწარმო ყიდულობს ან ყიდის უცხოური ვალუტით შეფასებულ საქონელსა და მომსახურებას; საწარმო იღებს ან გასცემს სესხს, რომლის მისაღები ან გადასახდელი თანხები განსაზღვრულია უცხოურ სავალუტო ერთეულში; ან საწარმო იძენს ან ყიდის უცხოური ვალუტით შეფასებულ აქტებს, იღებს ან ფარავს უცხოური ვალუტით შეფასებულ ვალდებულებებს).

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველად უნდა აისახოს სამუშაო ვალუტით, ოპერაციის შესრულების დღისათვის სამუშაო ვალუტისა და მოცემულ უცხოურ ვალუტას შორის არსებული სპოტ სავალუტო კურსის მიხედვით.

ოპერაციის დღედ ითვლება თარიღი, როდესაც ეს ოპერაცია პირველად კლასიფიცირდება აღიარებისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. პრაქტიკაში ხშირად იყენებენ ოპერაციის შესრულების მომენტისათვის არსებულ სავალუტო კურსთან მიახლოებულ სავალუტო კურსს. მაგალითად, მოცემულ პერიოდში შესრულებული ყველა ოპერაციისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს კვირის ან თვის საშუალო სავალუტო კურსი, თუმცა, თუ სავალუტო კურსი მნიშვნელოვნად მერყეობს, საშუალო სავალუტო კურსის გამოყენება არ არის მისაღები.

- ბასს 39 - „ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაცია“ (შესწორება) ნებას რთავს საწარმოს, განსაკუთრებულ შემთხვევებში მოახდინოს არაწარმოებული ფინანსური აქტივის რეკლასიფიკაცია მოგებაში ასახვით რეალური ღირებულებით შეფასებული აქტივის კლასიფიკაციიდან. სტანდარტი გთავაზობთ შემდეგ დამატებით მითითებებს იმის შესახებ, თუ როგორ განვსაზღვროთ რეალური ღირებულებები შეფასების ტექნიკის გამოყენებით.

(დადგინდეს, შეფასების დღისათვის როგორი იქნებოდა გარიგების ღირებულება ბირჟაზე, ნორმალური ბიზნესის წარმოების პირობებში, „გამლილი ხელის მანძილის პრინციპით“; შეფასების ტექნიკა (ა) აერთიანებს იმ ფაქტორს, რომელსაც ბაზრის მონაწილენი განიხილავენ ფასის დადგენისას და (ბ) შესაბამისობაშია ფინანსური ინსტრუმენტების ფასის დადგენის მიღებულ ეკონომიკურ მეთოდოლოგიებთან; შეფასების ტექნიკის გამოყენებისას, საწარმო იყენებს ისეთ შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც შესაბამისობაშია შეფასებისა და დაშვებების შესახებ ხელმისაწვდომ ინფორმაციასთან, რომელსაც ბაზრის მონაწილენი იყენებენ ფინანსური ინსტრუმენტების ფასის დადგენის დროს; თავდაპირველი აღიარების დროს ფინანსური ინსტრუმენტის, რომელიც აქტიურ ბაზარზე კოტირებული არ არის, რეალური ღირებულების საუკეთესო შეფასებას წარმოადგენს გარიგების ღირებულება იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ინსტრუმენტის რეალური ღირებულება სხვა რომელიმე ბაზარზე განხორციელებული გარიგების ფასით იქნა განსაზღვრული ან ისეთ შეფასების ტექნიკას, სადაც ცვლადები მხოლოდ აქტიური ბაზრის მონეცემებს ითვალისწინებს) შესწორება ასევე ნებას რთავს საწარმოს, გადაიტანოს ისეთი ფინანსური აქტივი გასაყიდად შესაძლებელი კატეგორიიდან სესხებისა და მოთხოვნების კატეგორიებში, რომლებიც აკმაყოფილებს სესხებისა და მოთხოვნების განმარტებას, თუ საწარმოს გამიზნული აქვს და ასევე შესაძლებლობა, ფლობდეს ამ ფინანსურ აქტივს პროგნოზირებად მომავალში.

- ბასს 8 - „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“ განსაზღვრავს სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და მისი შეცვლის კრიტერიუმებს. ამასთანავე, განიხილავს იმ კრიტერიუმებსაც, რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნეს სააღრიცხვო მდგომარეობისა და განმარტებით შენიშვნების შერჩევისას სააღრიცხვო პოლიტიკისა და

შეფასებების ცვლილებებისა და შეცდომების გასწორების დროს. სრანდარტი მოწოდებულია გააუმჯობესოს საწარმოს ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობა, საიმედოობა და შესადარისობა. სააღრიცხვო პოლიტიკის განმატრებიითი შენიშვნების მოთხოვნები, გარდა სააღრიცხვო პოლიტიკაში ცვლილებებისას არსებული მოთხოვნისა, ასახულია ბასს 1-ში „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“. წინამდებარე სტანდარტი გამოიყენება საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევისა და გამოყენების, სააღრიცხვო პოლიტიკისა და სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილებებისა და წინა პერიოდის შეცდომების გასწორებისათვის.

ორგანიზაცია წინამდებარე სტანდარტს იყენებს წინა პერიოდის შეცდომების გასწორებისა და სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლით გამოწვეული რეტროსპექტული კორექტირებისათვის, საგადასახადო ეფექტები აღირიცხება და განმარტებით შენიშვნებში აისახება ბასს 12-ის, „მოგებიდან გადასახადები“, შესაბამისად.

- ბასს 40 (შესწორება) - „საინვესტიციო ქონება“ (და მის შედეგად მიღებული დამატებები ბასს 16-ზე). ეს შესწორება წარმოადგენს ბასს-ის ყოველწლიური გაუმჯობესებების პროექტის ნაწილს, რომელიც გამოქვეყნდა 2008 წლის მაისში. ქონება, რომლის მშენებლობა ან შეკეთება ხდება იმ მიზნით, რომ იგი მომავალში გამოყენებული იყოს, როგორც საინვესტიციო ქონება, მოქცეულია ბასს 40-ის მოქმედების სფეროში, როდესაც საწარმო ირჩევს რეალური ღირებულების მეთოდს, საინვესტიციო ქონება უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით. მიუხედავად ამისა, თუ მშენებარე ქონების რეალური ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა შეუძლებელია, იგი უნდა შეფასდეს თვითღირებულებით მანამ, სანამ დასრულდება მშენებლობა, ან სანამ ქონების რეალური ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა გახდება შესაძლებელი (გამოიყენება ამ ორი შემთხვევიდან უახლესის თარიღი).

- ფასს 7 - „ფინანსური ინსტრუმენტები - განმარტებითი შენიშვნები“ (შესწორება), მოითხოვს დამატებითი განმარტებითი შენიშვნების წარდგენას რეალურ ღირებულებასა და ლიკვიდურობის რისკთან დაკავშირებით. ორგანიზაცია იყენებს ფასს 7-ის შესწორებებს, რომლებიც ძალაში შედის 2009 წლის 1 იანვრიდან, და რომელიც მოითხოვს რეალური ღირებულების შეფასების შესახებ განმარტებებს რეალური ღირებულების შეფასების შედეგი იერარქიის მიხედვით:

აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასები (დაუკორექტირებელი) იდენტიფიცირებადი აქტივებისა და ვალდებულებებისათვის (პირველი დონე);

ისეთი შენატანები პირველ დონეში ჩართული კოტირებული ფასების გარდა, რომლებზეც ინფორმაციის მოპოვებაც შეუძლებელია პირდაპირ (რომელიც იგივეა, რაც ფასი), ან არაპირდაპირ (რომელიც იგივეა, რაც გამომდინარეობს ფასიდან) (მეორე დონე);

აქტივებსა და ვალდებულებებში ისეთი შენატანები, რომლებიც დამოკიდებული არ არის საბაზრო მონაცემებზე (რაც წარმოადგენს საბაზრო მონაცემებზე დაყრდნობით განხორციელებულ შენატანებს) (მესამე დონე).

- ბასს 1 (განახლებული) - „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“. განახლებული სტანდარტი კრძალავს შემოსავლებისა და ხარჯების მუხლების (რაც წარმოადგენს „კაპიტალში ისეთ ცვლილებებს, რომლებიც დაკავშირებული არ არის დამფუძნებელთან“) წარდგენას კაპიტალის მოძრაობის შესახებ ანგარიშგებაში. სტანდარტი მოითხოვს ამგვარი ცვლილებების განცალკევებით წარმოდგენას ისეთი ცვლილებებისაგან, რომლებიც დაკავშირებულია დამფუძნებელთან.

ყველა ცვლილება კაპიტალში, რომელიც დაკავშირებული არ არის მესაკუთრებთან, ნაჩვენები უნდა იყოს საქმიანობის შესახებ ანგარიშგებაში, მაგრამ საწარმოს აქვს უფლება, აირჩიოს და წარადგინოს ან ერთი ანგარიშგება (სრული შემოსავლის ანგარიშგება), ან ორი ანგარიშგება (მოგების და ზარალის ანგარიშგება და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება). როდესაც საწარმო ახდენს შესადარისი ინფორმაციის სხვაგვარად წარდგენას ან რეკლასიფიკაციას, მან, გარდა იმისა, რომ უნდა წარადგინოს მიმდინარე და შესადარისი პერიოდის ფინანსური მდგომარეობის შესახებ

ანგარიშგებები, მოეთხოვება ასევე, რომ წარადგინოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ განახლებული ანგარიშგება შესადარისი პერიოდის დასაწყისისათვისაც. ორგანიზაცია ბასს 1-ს (განახლებული) იყენებს 2009 წლის და შემდგომი პერიოდების ფინანსური ანგარიშგებისათვის. იგი წარადგენს ერთ, სრული შემოსავლის ანგარიშგებას.

- ფაისკ 16 - „უცხოურ ქვედანაყოფში განხორციელებული ნეტო ინვესტიციის ჰეჯირება“, განმარტავს ნეტო ინვესტიციის ჰეჯირებასთან დაკავშირებულ სააღრიცხვო მიდგომას. ეს მიდგომა გამოწვეულია იმ ფაქტით, ნეტო საინვესტიციო ჰეჯირება დაკავშირებულია სხვაობებით საოპერაციო და წარდგენის ვალუტებს შორის, და ჰეჯირების ინსტრუმენტს ორგანიზაცია შესაძლოა ფლობდეს ნებისმიერი სახით. ბასს 21 - „უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგები“ არ ეხება ჰეჯირებულ მუხლებს.

სტანდარტები შესწორებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ნაადრევად გაითვალისწინა ორგანიზაციამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას:

ორგანიზაციას 2009 წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას არ გაუთვალისწინებია ნაადრევად რომელიმე ახალი სტანდარტი, სტანდარტების შესწორება ან განახლებული სტანდარტი.

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ძალაში შედის 2009 წელს, მაგრამ არ არის რელევანტური ორგანიზაციისათვის.

სტანდარტი/ინტერპრეტაცია	შინაარსი	ფინანსურიწლისათვის, რომელიც იწყება ქვემოთ მოცემულ თარიღში, ან მის შემდგომ
-------------------------	----------	--

ბასს 16	ძირითადი საშუალებები (და მის შედეგად მიღებული შესწორებები ბასს 7-ზე)	1 იანვარი 2009
ბასს 20	სახელმწიფო გრანტების ბუღალტრული აღრიცხვა და სახელმწიფო დახმარების განმარტებითი შენიშვნა (შესწორება)	1 იანვარი 2009
ბასს 29	ფინანსური ანგარიშგება ჰიპერინფლაციური ეკონომიკის პირობები	1 იანვარი 2009
ბასს 31	ერთობლივ საქმიანობაში მონაწილეობა (და მის შედეგად მიღებული შესწორებები ბასს 32 და ფასს 7)	1 იანვარი 2009
ბასს 32 და ბასს 1	ლიკვიდაციის შედეგად წარმოშობილი განთავსებადი ფინანსური ინსტრუმენტები და ვალდებულებები	1 იანვარი 2009
ბასს 38	არამატერიალური აქტივები	1 იანვარი 2009
ბასს 41	სოფლის მეურნეობა	1 იანვარი 2009
ფასს 2	წილობრივი გადახდები	1 იანვარი 2009
ფასს 8	საოპერაციო სეგმენტები	1 იანვარი 2009
ფაისკ 13	მომხმარებელთა წახალისების პირობები	1 იანვარი 2009
ფაისკ 15	შეთანხმებები უძრავი ქონების მშენებლობაზე	1 იანვარი 2009

შემდეგი სტანდარტები და შესწორებები უკვე გამოქვეყნებულია ბასსკ-ის მიერ, რომლებიც იწყება 2010 წლის 1 იანვრიდან, ან მის შემდგომ პერიოდებში, და ორგანიზაციამ გამოიყენა ისინი მიმდინარე პერიოდისათვის:

- ბასს 1 (შესწორებული) - „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“. შესწორება წარმოადგენს ბასსკ-ის მიერ განხორციელებული ყოველწლიური პროექტის ნაწილს, რომელიც გამოქვეყნებულია 2009 წლის აპრილში. შესწორებაში მოცემული განმარტების მიხედვით, ვალდებულების პოტენციური დაფარვის მიზნით გამოშვებული კაპიტალის დაკლასიფიცირება არ უნდა მოხდეს მიმდინარე ან გრძელვადიან ვალდებულებად. მიმდინარე ვალდებულების განმატრების შესწორებით, სტანდარტის მიხედვით, შესაძლებელია ვალდებულების დაკლასიფიცირება გრძელვადიან ვალდებულებად (უზრუნველყოფილი უნდა იყოს ის პირობა, რომ ორგანიზაციას გააჩნდეს უპირობო უფლება, გადაავადოს ვალდებულების დაფარვა ფულადი სახსრების ან სხვა აქტივების გადახდის გზით საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის შემდგომში პერიოდისათვის), მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ორგანიზაციას შესაძლოა ნებისმიერ მომენტში მოსთხოვონ, დაფაროს ვალდებულება კაპიტალის გამოშვების გზით. ორგანიზაცია ბასს 1-ის ამ ცვლილებებს იყენებს 2010 წლის 1 იანვრიდან,
- ბასს 24 (შესწორებული) - „ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან“. შესწორების მიხედვით, გამარტივებულია შენიშვნები დაკავშირებულ მხარესთან ოპერაციების შესახებ, როდესაც ასეთ დაკავშირებულ მხარეს წარმოადგენს მთავრობა. შესწორებაში ასევე მოცემულია დაკავშირებული მხარეების განმარტება. მოსალოდნელია, რომ სტანდარტის ეს შესწორება რაიმე მნიშვნელოვან გავლენას არ მოახდენს ორგანიზაციის მომავალ ფინანსურ ანგარიშგებზე.
- ბასს 27 (განახლებული) - „კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები“. განახლებული სტანდარტის მიხედვით, უმცირესობის წილთან დაკავშირებული ყველა ოპერაციის ეფექტი უნდა აისახოს კაპიტალში, თუ ადგილი აქვს ცვლილებას კონტროლში, და ეს ოპერაციები ამის შემდეგ გავლენას არ მოახდენენ გუდვილზე, ან მოგებასა და ზარალზე. სტანდარტი ასევე განსაზღვრავს სააღრიცხვო მიდგომას კონტროლის დაკარგვის შემთხვევაში. საწარმოში დადგენილი წილი ხელახლა უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, ხოლო მოგება ან ზარალი აღიარდეს მოგება/ზარალის ანგარიშგებაში. მოსალოდნელია, რომ განახლებული სტანდარტი რაიმე მნიშვნელოვან გავლენას არ მოახდენს ორგანიზაციის მომავალ ფინანსურ ანგარიშგებაზე.
- ბასს 32 (შესწორებული) - „უფლებების გამოშვების კლასიფიკაცია“. შესწორებული სტანდარტის მიხედვით, ნებადართულია გამოშვებული უფლებების დაკლასიფიცირება კაპიტალის სახით, როდესაც ფასი განსაზღვრულია საწარმოს ფუნქციონალური ვალუტისაგან განსხვავებულ ვალუტაში. შესწორება ძალაშია საანგარიშგებო პერიოდისათვის, რომელიც იწყება 2010 წლის 1 თებერვალს, ან მის შემდგომ პერიოდებში, და მისი გამოყენება უნდა მოხდეს რეტროსპექტიულად. სტანდარტის ამ შესწორებამ რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოახდინა ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებებზე.
- ბასს 38 (შესწორება) - „არამატერიალური აქტივები“. შესწორება წარმოსდგენს ბასსკ-ის მიერ განხორციელებული ყოველწლიური პროექტის ნაწილს, რომელიც გამოქვეყნებულია 2009 წლის აპრილში. შესწორებაში მოცემულია მიდგომა, თუ როგორ უნდა მოხდეს საწარმოთა გაერთიანების შემთხვევაში შეძენილი არამატერიალური აქტივების რეალური ღირებულების შეფასება; იგი ნებას რთავს საწარმოს, აღიარონ აქტივები ისე, თითქოს ყოველ მათგანს მსგავსი სასარგებლო მომსახურების ვადა გააჩნდეს. მოსალოდნელია, რომ სტანდარტის ეს შესწორება რაიმე მნიშვნელოვან გავლენას არ მოახდენს ორგანიზაციის მომავალ ფინანსურ ანგარიშგებებზე.
- ბასს 39 (შესწორება) - „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება – შესაბამისი ჰეჯირებული მუხლები“. სტანდარტის შესწორება გამოშვებულია 2008 წლის ივლისში. იგი იძლევა ორი საკითხის განმარტებას: ჰეჯირებულ მუხლში ცალმხრივი რისკის განსაზღვრისას, ბასს 39-ის მიხედვით, შესყიდვის ოფციონი, მთლიანობაში გამოხატული, როგორც ჰეჯირების

ინსტრუმენტი, და რომლისთვისაც დამახასიათებელია ცალმხრივი რისკი, არ უნდა იყოს საკმარისად ეფექტური. ინფლაციის, როგორც ჰეჯირებული რისკის ან მისი ნაწილის განსაზღვრა არ უნდა მოხდეს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ადგილი აქვს განსაკუთრებულ გარემოებებს. მოსალოდნელია, რომ სტანდარტის ეს შესწორება რაიმე მნიშვნელოვან გავლენას არ მოახდენს ორგანიზაციის მომავალ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

- ფასს 3 (შესწორებული) - „საწარმოთა გაერთიანება“. შესწორებული სტანდარტის მიხედვით, კვლავ გამოიყენება შესყიდვის მეთოდი საწარმოთა გაერთიანების შემთხვევაში, ცვლილებები შეტანილია მხოლოდ მცირე ოდენობით. მაგალითად, საწარმოთა შეძენისთვის გადახდილი ყველა გადასახდელი უნდა აღირიცხოს შეძენის თარიღისათვის არსებული რეალური ღირებულებით; პირობითი გადასახდელები უნდა აღიარდეს ვალდებულებად, და შემდგომ პერიოდებში, მოგება/ზარალის გავლით, ხელახლა შეფასდეს. სტანდარტი იძლევა არჩევანის საშუალებას - „შემენა შეძენის სანაცვლოდ“ მიდგომის უმცირესობის წილის შეფასება მოხდეს მყიდველთან რეალური ღირებულებით, ან უმცირესობის წილის პროპორციული ოდენობით მყიდველის წმინდა აქტივებში. შეძენასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი უნდა აღიარდეს ხარჯად. მოსალოდნელია, რომ სტანდარტის ეს შესწორება რაიმე მნიშვნელოვან გავლენას არ მოახდენს ორგანიზაციის მომავალ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- ფასს 5 (შესწორება) - „გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივების შეფასება“ შესწორება წარმოადგენს ბასსკ-ის მიერ განხორციელებული ყოველწლიური პროექტის ნაწილს, რომელიც გამოქვეყნებულია 2009 წლის აპრილში. შესწორებაში მოცემულია, რომ ფასს 5 - „გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები“ განსაზღვრას განმარტებითი შენიშვნებისათვის ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება გასაყიდად გამიზნულად, ან შეწყვეტილ ოპერაციებად კლასიფიცირებულ გრძელვადიან აქტივებთან დაკავშირებით. იგი ასევე განსაზღვრავს, რომ ბასს 1-ის ძირითადი მოთხოვნა კვლავ ეხება ბასს 1-ის მე-15-ე პუნქტს (სამართლიანი წარდგენის მიღწევა) და 125-ე პუნქტს (შეფასებასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობის წყაროები). მოსალოდნელია, რომ სტანდარტის ეს შესწორება რაიმე მნიშვნელოვან გავლენას არ მოახდენს ორგანიზაციის მომავალ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- ფასს 9 - „ფინანსური ინსტრუმენტები“ ფასს 9 ეხება ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას და შეფასებას და შესაძლებელია მისი გამოყენება ადრეული პერიოდისათვის, ფასს 9-მ ჩანაცვლა ბასს 39-ის მიხედვით განსაზღვრული მრავალმხრივი კლასიფიკაციის და შეფასების მეთოდი ერთი სახის მეთოდით, რომელიც აღიარებს მხოლოდ ორ კატეგორიას: ამორტიზირებულ ღირებულებას და რეალურ ღირებულებას.

- ფასს 9-ში მოცემული განსაზღვრებები ძალიან მნიშვნელოვანის და იგი წარმოადგენს ბასს 39-ის პირველ ასეთ მნიშვნელოვან ჩანაცვლებას. მოსალოდნელია, რომ 9 მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ორგანიზაციის მომავალი პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებებზე.

- ფასს 17 - „არაფულადი აქტივების განაწილება მესაკუთრეებზე“, ინტერპრეტაცია წარმოადგენს ბასსკ-ის მიერ განხორციელებული ყოველწლიური პროექტის ნაწილს, რომელიც გამოქვეყნებულია 2009 წლის აპრილში. ინტერპრეტაცია წარმოადგენს მნიშვნელოვან საადრიცხო სახელმძღვანელოს ისეთი გარიგებისათვის, სადაც საწარმო ახდენს არაფულადი აქტივების განაწილებას დამფუძნებელთათვის რეზერვების ან დივიდენდების განაწილების სახით. მოხდა ასევე ფასს 5-ის შესწორება, რათა ყოფილიყო მოთხოვნა, რომ აქტივების კლასიფიკაცია განაწილებულად გამიზნულად მოხდეს მაშინ, როდესაც ისინი მზად იქნებიან გასანაწილებლად იმ პირობებით, რომლებშიც ისინი ამჟამად იმყოფებიან, და ამ განაწილების მოხდენის ალბათობა დიდია. მოსალოდნელია, რომ ინტერპრეტაცია რაიმე მნიშვნელოვან გავლენას არ მოახდენს ორგანიზაციის მომავალ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

- ფასს 18-ის - „მომწოდებლებისაგან აქტივების გადმოცემა“ გამოშვება მოხდა 2009 წლის იანვარში. იგი განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მოხდეს ძირითადი საშუალებების ერთეულების

გადმოცემის აღრიცხვა საწარმოების მიერ, რომლებიც იღებენ ამგვარ აქტივებს თავიანთი მომწოდებლებისაგან. ინტერპრეტაცია ეხება ასევე ისეთ გარიგებებს, როდესაც საწარმო იღებს ფულად სახსრებს მომწოდებლისაგან, სადაც ეს ფულადი სახსრები გამოყენებული უნდა იქნას მხოლოდ ძირითადი საშუალებების შეძენის ან მშენებლობის მიზნით, და შედეგად, საწარმომ ეს აქტივი უნდა გამოიყენოს მომწოდებლის უზრუნველყოფის მიზნით, რათა უზრუნველყოს მათი შეუწყვეტადი ხვდომა აქტივებსა და/ან მომსახურებაზე. მოსალოდნელია, რომ ინტერპრეტაცია რაიმე მნიშვნელოვან გავლენას არ მოახდენს ორგანიზაციის მომავალ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

- **ძირითადი საშუალებები.** ძირითადი საშუალებები ასახულია თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და საჭიროების შემთხვევებში, გაუფასურებაზე რეზერვის გამოკლებით. შეძენილი ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება წარმოებს რეალური ღირებულებით. ძირითად საშუალებებზე მცირე სარემონტო სამუშაოებსა და მომსახურების ხარჯების გაღება წარმოებს მათი წარმოქმნის შემთხვევაში. ძირითადი საშუალების ძირითადი ნაწილებისა და კომპონენტების შეცვლის ხარჯები ექვემდებარებიან კაპიტალიზირებას, ხოლო შეცვლილი ნაწილები - ამოღებას.

თვითღირებულებით ასახული ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებით ამონაგების შედარების საფუძველზე დადგენილი შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება წარმოებს მოგებას ან ზარალში.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა ხდება რეალიზაციისას, ან იმ შემთხვევაში თუ მათი გამოყენების შედეგად არ ივარაუდება მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

ძირითადი საშუალებების ერთეულების ჩამოწერით მიღებული მოგება ან ზარალი წარმოადგენს სხვაობას რეალიზაციის შედეგად მიღებული წმინდა ფულადი სახსრებისა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, რომელიც აისახება მოგებასა და ზარალში აქტივის რეალიზაციისას.

სს „ფინანგრო“-ს მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები ასახულია თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით შეძენილი კომპიუტერული პროგრამების კაპიტალიზაცია ხორციელდება შესაძენად და კონკრეტული პროგრამის ექსპლოატაციაში მოსაყვანად გაღებული ხარჯების გათვალისწინებით. ამორტიზაციის დარიცხვა ხდება სწორხაზოვანი მეთოდის გამოყენებით, არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების საანგარიშო ვადის მიხედვით.

ცვეთა. ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდით, რათა გადანაწილებული იქნას მათი ღირებულება მათ ნარჩენ ღირებულებებზე. მათი სასარგებლო მომსახურების ვადებთან მიმართებაში.

- **სასამართლო დავები.** ბასს-ების მიხედვით, ორგანიზაცია აღიარებს პირობით ვალდებულებებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარსულში მომხდარი ოპერაციის შედეგად არსებობს მიმდინარე ვალდებულება, ამ ოპერაციასთან დაკავშირებით მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის საწარმოიდან გასვლა და შესაძლებელია მათი საიმედოდ შეფასება. ამ შემთხვევაში, როდესაც ყველა ეს პირობა არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება განიმარტოს ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში. ამ სააღრიცხვო პრინციპების გამოყენება სასამართლო დავების შემთხვევაში მოითხოვს ორგანიზაციის ხელმძღვანელობისგან სხვადასხვა ფაქტიური და სამართლებრივი საკითხების განსაზღვრას, რომლებიც სცილდება მათი კონტროლის გარემოს ფარგლებს. ორგანიზაცია განიხილავს მნიშვნელოვან სასამართლო დავებს პროცესის წარმოების პარალელურად და მასთან კავშირში და ასევე განიხილავს მათ თითოეული ბალანსის შედგენის თარიღისათვის, რათა შეაფასოს ფინანსური ანგარიშგებაში ვალდებულებებთან დაკავშირებული რეზერვების შექმნის

აუცილებლობა. იმ ფაქტებს შორის, რომლებიც განხილულ უნდა იქნეს რეზერვებთან დაკავშირებით, წარმოადგენს სასამართლო პროცესის ხასიათი, დავა ან ქონებრივი შეფასება, მოსალოდნელი ზარალის ოდენობა, სასამართლო პროცესი (მოიცავს პროცესს ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნებამდე), იურისტების შეხედულებები და აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით, გამოცდილება მსგავს საკითხებში, ასევე ორგანიზაციის ხელმძღვანელობის ნებისმიერი გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იმოქმედონ სასამართლო პროცესის, დავის ან ქონებრივი შეფასების შემთხვევაში.

- **მოგების გადასახადი.** მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე და გადავადებული გადასახადების ხარჯს. გამოითვლება წლის დასაბეგრი მოგებიდან, დასაბეგრი მოგება განსხვავდება წმინდა მოგებისაგან, რომელიც ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშში, ის არ მოიცავს შემოსავლების და ხარჯების იმ ნაწილს, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას ან გამოქვითვას წინა წლებში აგრეთვე იმ ხარჯებს, რომელიც საერთოდ არ ექვემდებარება დაბეგვრას ან გამოქვითვას.

გადავადებული გადასახადი არის გადასახდელი ან გამოსაქვითი გადასახადი, რომელიც წარმოიქმნება ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივებისა და ვალდებულებების ნარჩენ ღირებულებათა შორის სხვაობიდან მიღებული დასაბეგრი ბაზის საფუძველზე და აისახება ვალდებულების მეთოდის გამოყენებით. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები ჩვეულებრივ აღიარებას ექვემდებარება ყველა დროებითი სხვაობისათვის, ხოლო გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარებას ექვემდებარება იმდენად, რამდენადაც არსებობს საფუძვლიანი მოლოდინი იმისა, რომ იარსებებს დასაბეგრი მოგება, რომლის მიმართაც გამოყენებული იქნება არსებული დროებითი სხვაობა. აქტივების და ვალდებულებების აღიარება არ ხდება, თუ დროებითი განსხვავება გამოწვეულია აქტივების და ვალდებულებების პირველადი აღიარებით იმ ოპერაციებში, რომლებიც ზემოქმედებას არ ახდენს როგორც საგადასახადო მოგებაზე ასევე საბუღალტრო მოგებაზე.

გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები აღიარებას ექვემდებარება დროებითი სხვაობების გათვალისწინებით, რომელიც თავს იჩენს ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებში.

გადავადებული საგადასახადო აქტივის ნარჩენი ღირებულება ექვემდებარება გადახედვას ყოველი ანგარიშგების პერიოდისათვის და მცირდება იმდენად, რამდენადაც აღიარ არსებობს საკმარისი დასაბეგრი მოგების მოლოდინი, რომელიც გამოყენებული იქნება ყველა ან ზოგიერთი აქტივის აღსადგენად. გადავადებული გადასახადი იანგარიშება იმ საგადასახადო განაკვეთით, რომელიც მოსალოდნელია ვალდებულების გასტუმრების ან აქტივის რეალიზების პერიოდისათვის. გადავადებული გადასახადი აისახება მოგებასა და ზარალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის დაკავშირებულია უშუალოდ კაპიტალთან.

4. ანგარიშგების მომზადების საუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის პრინციპები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულ იქნა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად და იმის გათვალისწინებით, რომ სს მისო „ფინაგრო“ წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს და აქვს შესაძლებლობა განაგრძოს მუშაობა არსებული ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები ქვემოთ. სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა პერიოდზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამის შესახებ მითითებული იქნება წინამდებარე ანგარიშგებაში.

ორგანიზაცია საბუღალტრო წიგნებსა და ჩანაწერებს აწარმოებს ლარებში საქართველოში არსებული ბუღალტრული აღრიცხვის მოთხოვნების შესაბამისად. ზემოთ მოყვანილი ფინანსური ანგარიშგება შედგენილია ორგანიზაციის საბუღალტრო მონაცემების საფუძველზე, რომელიც შესაბამისი წესით კორექტირებულია, ფასს-ის სამართლიანი წარდგენისათვის.

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და შეფასება.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ასახვა სს მისო „ფინაგრო“-ს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში ხდება მაშინ, როდესაც ხდება ხელშეკრულების მონაწილე შესაბამის ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარება ხდება ანგარიშსწორების თარიღის მდგომარეობით. ფინანსური ინსტრუმენტების რეგულარული ხასიათის მქონე შესყიდვები, რომლებიც შემდგომი შეფასდება გაყიდვისა და ანგარიშსწორების დღეებს შორის სამართლიანი ღირებულებით, აღიარდება შესყიდული ინსტრუმენტების ანალოგიურად. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხორციელდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის ღირებულება, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური აქტივისა და ვალდებულებების შესყიდვასა და გამოშვებას, გარდა იმ ფინანსური აქტივისა და ვალდებულებებისა, რომელიც სრული მოგების ანგარიშში აღიარდება სამართლიანი ღირებულებით.

შეფასების და წარდგენის ვალუტა

ინტერპრეტაციების მუდმივმა კომიტეტმა (შემდგომში - იმკ) საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის შემადგენლობაში მიიღო იმკ-19 „ანგარიშგების ვალუტა: ფინანსური ანგარიშგების შეფასება და წარდგენა ბასს-21 და ბასს-29-ის შესაბამისად“. წინამდებარე ინტერპრეტაციით განსაზღვრულია, რომ შეფასების ვალუტა უნდა ატარებდეს სასარგებლო ინფორმაციას, რომელიც ასახავს ორგანიზაციასთან დაკავშირებული მოვლენებისა და გარემოებების ეკონომიკურ არსს. თუ გარკვეული ვალუტა არსებითად ხშირად გამოიყენება ორგანიზაციის მიერ ან ამ ვალუტას მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს, მიზანშეწონილია, სწორედ იგი გამოიყენებოდეს, როგორც შეფასების ვალუტა.

თვის ოპერაციებში ორგანიზაცია ფუნქციონალურად ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ორგანიზაციის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად ორგანიზაცია იყენებს ქართულ ლარს.

ოპერაციები შეფასების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაციის უცხოურ ვალუტაში და აღიარდება ბასს 21-ს „სავალუტო კურსების ცვლილებათა გავლენა“ მოთხოვნის შესაბამისად.

რეალური ღირებულება

წარმოადგენს თანხას, რომლითაც შესაძლებელია აქტივის გაცვლა ან ვალდებულების შესრულება გათვითცნობიერებუ, მსურველ მხარეებს შორის, დამოუკიდებელ მხარეებს შორის პრინციპით წარმოებული გარიგებისას. რეალურ ღირებულებას წარმოადგენს მყიდველის მიმდინარე ფასს აქტივებთან მიმართებით და გამყიდველის მიმდინარე ფასს ვალდებულებებთან მიმართებით, რომლებიც კოტირებული არიან აქტიურ ბაზარზე. კომპენსირებადი საბაზრო რისკების მქონე

აქტივებთან და ვალდებულებებთან მიმართებით, შეუძლია ისარგებლოს საშუალო საბაზრო ფასებით კომპენსირებადი რისკის მქონე პოზიციებთან მიმართებით რეალური ღირებულებების დადგენის საფუძვლის სახით და სათანადო შემთხვევებში, წმინდა ღია პოზიციასთან მიმართებით გამოიყენოს მყიდველის ან გამყიდველის ფასები. ფინანსური ინსტრუმენტი განიხილება აქტიურ ბაზარზე კოტირებულის სახით, თუ კოტირებული ფასები მზა და რეგულარული სახით ხელმისაწვდომია ბირჟიდან ან სხვა რაიმე დაწესებულებებიდან, და ამგვარი ფასები წარმოადგენენ ბაზარზე ფაქტიურად და რეგულარულად არსებული, დამოუკიდებელ მხარეებს შორის პრინციპით წარმოებულ გარიგებებს.

შეფასების მეთოდები

როგორებიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელები, რომლებიც ეფუძნება დამოუკიდებელ მხარეებს შორის პრინციპით წარმოებულ უკანასკნელ გარიგებებს ან ინვესტიციების მიმდების მიერ განხილულ ფინანსურ მონაცემებს, გამოიყენებიან გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების დასადგენად რომლებთან მიმართებითაც არ არის ხელმისაწვდომი ინფორმაცია ბაზრის გაერთიანებული ფასების შესახებ. შეფასების მეთოდებისათვის შესაძლოა საჭირო იყოს ისეთი სახის დაშვების გამოყენება, რომლებიც არ დასტურდებიან განხილული საბაზრო მონაცემებით. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტებითი მონაცემების ასახვა წარმოებს იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი დაშვებების რაიმე ჯეროვანი შესაძლო ალტერნატივით ჩანაცვლების შედეგად შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მნიშვნელოვან განსხვავებულ მოგებას, შემოსავალს, მთლიან აქტივებს ან მთლიან ვალდებულებებს.

თვითღირებულება

წარმოადგენს ნაღდი ფულის ან მისი ექვივალენტის სახით გადახდილ თანხას ან სხვა სახის ანაზღაურების რეალურ ღირებულებას, რომელიც გადახდილ იქნა აქტივზე მისი შემენის დროს, და მოიცავს საოპერაციო ხარჯებს. საოპერაციო ხარჯები წარმოადგენენ დამატებით ხარჯებს, რომლებიც უშუალოდ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის ხარჯს, რომელიც შესაძლოა არ ყოფილიყო გაწეული გარიგების განუხორციელებლობის შემთხვევაში, საოპერაციო ხარჯები მოიცავენ თანამშრომლებისადმი გადახდილ გასამრჯელოებსა და საკუთრების გადაცემაზე გადასახადებს. საოპერაციო ხარჯები არ მოიცავენ სავალო პრემიებს და ვალებზე დისკონტებს ფინანსირებაზე გაწეულ ან შიდა ადმინისტრაციულ ან მფლობელობაზე ხარჯებს.

ამორტიზირებული ღირებულება

წარმოადგენს თანხას, რომლითაც თავდაპირველი აღიარებისას მიჩნეული იქნა ფინანსური ინსტრუმენტის, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, გაუფასურებით გამოწვეულ ზარალზე ნებისმიერი ჩამოწერის გამოკლებით. დაგროვილი პროცენტი მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული საოპერაციო ხარჯებისა და დასაფარ თანხაზე ნებისმიერი პრემიის ამორტიზებას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება. მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით ასახული სავაჭრო ფასიანი ქაღალდები, წარმოებული და სხვა ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად აისახება რეალური ღირებულებით. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აისახება რეალური ღირებულებით, საოპერაციო ხარჯების ჩათვლით. რეალური ღირებულება თავდაპირველ აღიარებაში საუკეთესო სახით დასტურდება გარიგების ფასით. თავდაპირველი აღიარებისას მოგება ან ზარალი აისახება მხოლოდ იმ

შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს სხვაობას რეალურ ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის, რომლის დადასტურება შესაძლებელია.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

სს მისო „ფინაგრო“ ახორციელებს ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტას, როდესაც აქტივები გამოსყიდულია ან უფლებები აქტივებიდან წარმოქმნილ ფულად ნაკადებზე სხვაგვარად არის ამოწურული ან მის მიერ გადაცემულ იქნა უფლებები ფინანსური აქტივებიდან წარმოქმნილ ფულად ნაკადებზე ან გაფორმებულ იქნა გადასვლის პირობითი გარიგება და ამავე დროს, არსებითად გადასცემს აქტივების საკუთრებაზე ყველა რისკებსა და სარგებლებს ან არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს საკუთრებაზე ყველა რისკებსა და სარგებლებს, მაგრამ არ ინარჩუნებს კონტროლს. კონტროლი ითვლება შენარჩუნებულად, თუ საპირისპირო მხარეს არ გააჩნია პრაქტიკული შესაძლებლობა სრული მოცულობით მიყიდოს აქტივი დაუკავშირებელ მესამე მხარეს. გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაკისრების გარეშე.

უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორი სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

გაუფასურების დანაკარგების რეზერვი

ფინანსური აქტივების გაუფასურების ობიექტური საფუძვლის არარსებობის შემთხვევაში, სს მისო „ფინაგრო“ ადგენს ამ ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვს. გაუფასურებაზე რეზერვის განსაზღვრა ეფუძნება რისკიანი აქტივების ანალიზს და ასახავს იმ თანხას, რომელიც ხელმძღვანელობის განსჯით ფარავს შესაბამის დანაკარგს. რეზერვები განისაზღვრება რისკიანი აქტივების ინდივიდუალური შეფასებით. გაუფასურების რეზერვის ცვლილება აისახება მოგებაზე რეზერვის ხარჯის საშუალებით (ამორტიზირებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივებისათვის), ან პირდაპირი ჩამოწერით (ნარჩენი ღირებულებით ასახული აქტივებისათვის). ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში ასახულ აქტივებს აკლდება გაუფასურების თანხა. იმ შემთხვევაში, თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების რეზერვი შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად მივაკუთვნოთ გაუფასურების რეზერვის აღიარების შემდგომ პერიოდში მომხდარ მოვლენებს (ბასს 10). თავდაპირველად აღიარებული გაუფასურების რეზერვი კორექტირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის შემცირებით.

სს მისო „ფინაგრო“-ს ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ აღრიცხული გაუფასურების თანხა საკმარისია რისკს დაქვემდებარებულ აქტივებზე დანაკარგების დასაფარად ანგარიშგების თარიღისათვის, თუმცა არ შეუძლია სრულად გაითვალისწინოს თუ რა ცვლილებებია მოსალოდნელი და რა გავლენა ექნება მომავალ პერიოდში ამ ცვლილებებს ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის ადეკვატურობაზე.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც ორგანიზაციის ბალანსზე აღრიცხვება, წარმოდგენილია გაცემული სესხების და დებიტორული დავალიანების, ფულადი სახსრების და მისი ექვივალენტების, მიღებული სესხების და სხვა ვალდებულებების სახით. ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი შეფასება ხდება რეალურ ღირებულებას დამატებული საოპერაციო დანახარჯები, გარდა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ორგანიზაცია ფინანსურ ინსტრუმენტებს ბალანსში ასახავს მაშინ, როდესაც ორგანიზაცია გახდება ფინანსური ინსტრუმენტთან დაკავშირებული გარიგების მონაწილე. ფინანსური ინსტრუმენტის ან ფინანსური ინსტრუმენტის ნაწილის აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც ორგანიზაცია კარგავს კონტრაქტით გათვალისწინებულ უფლებებს ან დაფარავს ინსტრუმენტთან დაკავშირებულ ვალდებულებებს. ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტისას, სხვაობა მიღებულ ან მისაღებ შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღრიცხვება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, სხვაობა ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ თანხებს შორის ჩაირთვება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

გაცემული სესხები და მოთხოვნები

გაცემული სესხები და მოთხოვნები არ წარმოადგენს წარმოებულ ფინანსურ აქტივებს და ხასიათდებიან ფიქსირებული ან განსაზღვრული გადასახადებით, რომელთა კოტირება არ ხდება აქტიურ ბაზარზე. გაცემული სესხების და მოთხოვნების კატეგორია არ მოიცავს:

- ა) აქტივებს, რომელთა გაყიდვაც საწარმოს განზრახული აქვს დაუყოვნებლივ, ან ახლო მომავალში, და რომლებიც უნდა დაკლასიფიცირდეს, როგორც გასაყიდად გამიზნული, და რომელთაც საწარმო თავდაპირველი აღიარების შემდეგ აფასებს რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით;
- ბ) აქტივებს, რომელთაც საწარმო თავდაპირველი აღიარების შემდეგ აღრიცხავს, როგორც გასაყიდად გამიზნულს; ან
- გ) აქტივებს, რომელთა მფლობელებსაც არ შეუძლიათ ფაქტიურად დაფარონ მთელი მათი საწყისი ინვესტიცია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს გამოწვეულია საკრედიტო პირობების გაუარესების გამო, და რომლებშიც შეიძლება კლასიფიცირებულ იყოს, როგორც გასაყიდად გამიზნული.

ორგანიზაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივსა და ფინანსურ ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში, თუ ორგანიზაცია ხდება ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული საკონტრაქტო პირობების მონაწილე; ორგანიზაცია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის ან ორგანიზაცია ახდენს ფინანსური აქტივის გადაცემას, და ეს გადაცემა კლასიფიცირდება აქტივის აღიარების შეწყვეტით.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ორგანიზაციის გაცემული სესხები და მოთხოვნები ფასდება ამორტიზებადი ღირებულებით, რომლისთვისაც გამოიყენება საპროცენტო განაკვეთის მეთოდი, და რომელიც მცირდება გაუფასურებისა და დაუბრუნებელი თანხების ანარიცხვებით.

გაცემული სესხებისა და დებიტორული დავალიანებისათვის, რომელთა საბალანსო ღირებულებას წარმოადგენს ამორტიზებადი ღირებულება, შემოსულობა ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც მოხდება სესხისა და მოთხოვნების აღიარების შეწყვეტა ან გაუფასურება, შემოსულობის ან ზარალის აღიარება ხდება ასევე ამორტიზაციის პროცესში.

გაცემულ სესხებთან დაკავშირებული დანაკარგების ანარიცხები

ყოველ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ორგანიზაცია აფასებს, არის თუ არა რაიმე მინიშნება სესხის ან მოთხოვნების გაუფასურებასთან დაკავშირებით. გაუფასურების რაიმე მინიშნების შემთხვევაში, ორგანიზაცია განსაზღვრავს გაუარესების ზარალის ოდენობას. სესხებზე და მოთხოვნებზე, რომელთა საბალანსო ღირებულებას წარმოადგენს ამორტიზებადი ღირებულება, გაუფასურების ზარალის თანხა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ე.ი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გამოყენებული იყო საწყისი აღიარების დროს) დისკონტირებულ მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის (არ შედის მომავალი საკრედიტო დანახარჯები, რომლებიც ჯერ არ წარმოშობილა). აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება ანარიცხების ანგარიშის საშუალებით. გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში. თუ მიმდინარე პერიოდში გადაფასების ზარალი შემცირდება და ეს შემცირდება ობიექტურად იქნება დაკავშირებული გაუფასურების ზარალის აღიარების შემდგომ მოვლენასთან (როგორცაა დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალი დაკომპენსირდება ანარიცხის ანგარიშის დაკორექტირებით. კომპენსირების თანხა არ შევა აქტივის საბალანსო ღირებულებაში იმაზე მეტი ოდენობით, ვიდრე ამორტიზებადი ღირებულება იქნებოდა, გაუფასურება რომ არ მომხდარიყო აღიარებული გაუფასურების ზარალის კომპენსირების დღეს. კომპენსირების თანხა აღიარდება მოგება-ზარალში.

გაცემულ სესხებთან დაკავშირებული დანაკარგების ანარიცხები ბალანსში წარმოადგენს სესხების მოსალოდნელი დანაკარგების შეფასებას, რომელიც ეფუძნება CGAP-ის (ღარიბთა დახმარების საკონსულტაციო ჯგუფი) სტანდარტებს, რომელიც მსოფლიო მასშტაბით წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე საუკეთესო მიკროსაფინანსო ინდუსტრია, და ასევე სესხებთან დაკავშირებული დანაკარგების ანალიზს წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, რომელიც ტარდება ორგანიზაციის მენეჯმენტის მიერ.

მენეჯმენტი ქმნის გაცემული სესხების დანაკარგებთან დაკავშირებულ ანარიცხებს თვიურ, კვარტალურ და წლიურ საფუძველზე იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ადეკვატური ანარიცხები საეჭვო სესხებისთვის. სესხებთან დაკავშირებული დანაკარგების ანარიცხები იქმნება გადაუხდელი თანხების დაგვიანების (ხანდაზმულობის) მიხედვით. ისინი ჯგუფდება ბოლო გადახდების მიხედვით. სესხი წარმოადგენს დაგვიანებულს, თუ მისი გრაფიკით გათვალისწინებული გადახდის თარიღი გასულია. წინასწარ განსაზღვრული დანაკარგების ანარიცხების პროცენტი გაიანგარიშება მენეჯმენტის მიერ ბოლოდროინდელ სესხებთან დაკავშირებული წარსული გამოცდილების ანალიზის საფუძველზე. ორგანიზაციის საკრედიტო პოლიტიკის მიხედვით, გაცემულ სესხების სავარაუდო დანაკარგების ანარიცხების განაკვეთი შემდეგია:

ვადაგადაცილების პერიოდი	ანარიცხის განაკვეთი
მიმდინარე	1,5%
1-30 დღის ვადაგადაცილებით	15%
31-60 დღის ვადაგადაცილებით	30%
61-90 დღის ვადაგადაცილებით	50%
91-180 დღის ვადაგადაცილებით	75%
180 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	100%
რესტრუქტურირებული	25%

ანარიცხები იქმნება დაგვიანებული გადახდების მთლიან სესხების პორტფელზე, და არა მხოლოდ დაგვიანებულ გადახდებზე.

სესხების ჩამოწერის პოლიტიკა

სს მისო „ფინაგრო“ სესხებს ჩამოწერს შემდეგ შემთხვევებში:

- ბიზნესის მფლობელი გარდაიცვალა და ბიზნესმა არსებობა შეწყვიტა;
- სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას;
- 180 დღეზე მეტ ვადაგადაცილებულ სესხებზე.

თუ სესხე 180 დღეზე მეტით არის ვადაგადაცილებული სასურველია მოხდეს მისი მთლიანად ჩამოწერა თუმცა საბოლოო გადაწყვეტილებას სესხის ჩამოწერაზე იღებს მენეჯმენტი. ჩამოწერილი სესხები გამოიქვითება სესხის პორტფელის ნაშთად, ამ მოცულობით შემცირდება ასევე სესხების დანაკარგების ანარიცხებიც.

ვადაგადაცილებული სესხების რესტრუქტურირაცია

სს მისო „ფინაგრო“-ს ძირითადი პოლიტიკის მიხედვით, სესხის რესტრუქტურირება ხდება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში. ერთადერთი, მისაღები წინაპირობა სესხის რესტრუქტურირებისათვის არის მსესხებლისგან დამოუკიდებელი ისეთი გარეშე ფაქტორების არსებობა, რომლებიც მძიმე ზეგავლენას ახდენს მსესხებლის ძირითად საქმიანობაზე, რომლიდან მიღებული შემოსავლებიც, თავის მხრივ, სესხის გასტუმრების უპირველესი წყაროა. რესტრუქტურირაცია გამოყენებული უნდა იყოს, როგორც უკანასკნელი საშუალება; რესტრუქტურირაციის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს დაცული უნდა იყოს შემდეგი ზოგადი წესები:

- დავალიანების (მინიმუმ პროცენტის თანხის) ნაწილობრივი გადახდის არსებობა;
- პოზიტიური საკრედიტო ისტორია „ფინარგოსთან“ ან სხვა ფინანსურ ორგანიზაციებთან წარსული ურთიერთობებისას;
- სესხის თანხების პროექტის მიხედვით მიზნობრივი გამოყენება და ზოგადად სესხის პირობების დაკმაყოფილება; სესხის დაფინანსებულ საქმიანობაზე ისეთი გარეშე ფაქტორების უარყოფითი ზეგავლენა, რომელთა კონტროლი მსესხებლის ძალებს აღემატებოდა (გვალვა,

სეტყვა, წყალდიდობა, ხანძარი, საომარი სიტუაციები, მოუსავლიანობა, წარმოებული პროდუქციის დროულად გაყიდვის შეუძლებლობა, მსესხებლის მძიმე ავადმყოფობა ან სიკვდილი);

- არსებობს შემოსავლის მიღების ალტერნატიული წყაროები და მსესხებელი თანახმაა თანამშრომლობაზე.

სესხის რესტრუქტურირება შეიძლება მოხდეს მაქსიმუმ ორჯერ, საოპერაციო ციკლის მაქსიმალური ვადით.

პროცენტის დარიცხვა დაგვიანებულ სესხებზე

სესხის პროცენტის ამოღება ხდება ყოველთვიური სასესხო ვალდებულების თანხების მიღებიდან. ვადაგადაცილებულ სესხებზე დარიცხული, მაგრამ გადაუხდელი პროცენტის დარიცხვა ხდება სასამართლოზე გადაცემამდე. 180 დღემდე მეტი ხნით დაგვიანებული სესხი შეიძლება კლასიფიცირდეს შეუსრულებელ სესხად და მასზე საპროცენტო შემოსავლის დარიცხვა შეწყდეს. შეუსრულებელ სესხზე დარიცხული პროცენტები, რომელიც მოიცავს ასევე ჩამოწერილ სესხებსაც, ჩამოიწერება ხარჯის სახით.

სესხების პორტფელი და მისი ხარისხი

მიკროსაფინანსო ორგანიზაციისათვის სესხების ვადაგადაცილების ძირითადი საზომი არის რისკის ქვეშ მდგომი ვადაგადაცილებული სესხის პორტფელის კოეფიციენტი. სესხები იყოფა სხვადასხვა ჯგუფებად იმის მიხედვით, თუ რა დღეს შეადგენს ვადაგადაცილება. სესხების თითოეული კლასისთვის, სესხის პორტფელი შედგება სესხის ძირის, მისაღები სარგებლისა და ჯარიმისაგან. გადაუხდელი სესხების ძირითადი თანხა იყოფა გადაუხდელი სესხების ძირითადი თანხის მთლიან ჯამზე (აღნიშნული თანხა იანგარიშება სესხების დანაკარგების ანარიცხების გამოქვითვამდე).

სესხები მიიჩნევა ვადაგადაცილებულად, თუ მათი გადახდის ვადა დამდგარია მაგრამ არ არის გადახდილი. სესხის გადასახდელებიდან, პირველ რიგში იფარება სესხის პროცენტი, შემდეგ კი ძირითადი თანხა. ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა ითვლება იმ თარიღიდან, როდესაც უნდა განხორციელებულიყო ვადაგადამდგარი გადასახდელების გადახდა, მაგრამ მათი დაფარვა სრულად არ მომხდარა.

ფული და ფულის ექვივალენტი

ფული და ფულადი ექვივალენტი მოიცავს ნაღდ ფულსა და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

მიღებული სესხები

სასესხო ვალდებულებების თავდაპირველი შეფასება ხდება შესყიდვის ღირებულებით. საწყისი შეფასების შემდგომ, საწარმო აფასებს ყველა მიღებულ სესხს ამორტიზირებადი ღირებულებით, ყველა სხვაობა მიღებულ შემოსავალსა და გამოქვითვებს შორის აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ორგანიზაციას აქვს განუსაზღვრელი უფლება, გადაავადოს ეს ვალდებულებები

ბალანსის შედგენის თარიღიდან სულ მცირე 12 თვის განმავლობაში. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯებად, როდესაც ისინი წარმოიშვა.

საწესდებო კაპიტალი

ორგანიზაციის მიერ გამოშვებული ფინანსური ინსტრუმენტები კლასიფიცირდება, როგორც კაპიტალი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ აკმაყოფილებენ ფინანსური ვალდებულების განსაზღვრებას, ორგანიზაციის ჩვეულებრივი აქციები წარმოადგენს წილობრივ ინსტრუმენტებს.

კრედიტორული დავალიანება

კრედიტორული დავალიანება წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისათვის გადახდილი თანხების ღირებულებას.

ვალდებულებები, რომელთა გადახდის ვადა 1 წელზე მეტია, კლასიფიცირება, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

დროებით შეზღუდული შემოსავალი მიღებული გრანტიდან

მიღებული გრანტი თავდაპირველად აღიარდება, როგორც შეზღუდული სახსრები (გადავადებული შემოსავალი) და ორგანიზაციის მიერ საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების შესახებ გრანტის გაცემის მხრიდან დადასტურების შემდეგ (მიღებული გრანტის სახსრებიდან სესხების გაცემა), ჩამოიწერება შემოსავლებში შეუზღუდავი შემოსავლების სახით.

იქედან გამომდინარე, რომ ორგანიზაციას გაფორმებული აქვს საგრანტო ხელშეკრულება UNDP-თან, აღნიშნული ორგანიზაციის მიმართ მოთხოვნა და დროებით შეზღუდული შემოსავალი მიღებული გრანტიდან, ანგარიშგებაში ასახულია UN-ის მიერ დადგენილი ყოველთვიური სვალუტი კურსების მიხედვით. 2010 წლის მდგომარეობით მოხდა გრანტის მიღება, რომელიც ამავე წელს აღიარდა ერთობლივ შემოსავალში.

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ მთლიანად ეკონომიკური შემოსავლები პერიოდის განმავლობაში წარმოიშობა ორგანიზაციის ჩვეული საქმიანობის პირობებში, მათი საიმედოდ შეფასება შესაძლებელია, და ამ ოპერაციის შედეგად იზრდება საკუთარი კაპიტალი, მესაკუთრეთა მხრიდან დამატებითი ინვესტირების გარეშე.

ორგანიზაციის ამონაგები მოიცავს გაცემული სესხებიდან მიღებულ პროცენტებს, მომსახურების საკომისიოებს (ამონაგები ფინანსური მომსახურებიდან), ჯარიმებს და სხვა შემოსავლებს.

სესხი ტიპიდან და მოცულობიდან გამომდინარე, საპროცენტო განაკვეთი შეიძლება იყოს ფიქსირებული ან ვარიირებდეს წლიური 18%-დან 38%-მდე.

ყოველდღიურად, დარიცხული პროცენტების გაანგარიშება ხდება სპეციალური კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით; ამის შემდეგ მონაცემები იგზავნება სააღრიცხვო პროგრამაში.

პროცენტები გამოითვლება სესხის გრაფიკის მიხედვით. თითოეული სესხისათვის ცალ-ცალკე.

საპროცენტო შემოსავლის, ჯარიმების, საკომისიოების, კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგების და სხვა სახის შემოსავლების აღიარებას ორგანიზაცია ახორციელებს დარიცხვის მეთოდის საფუძველზე.

ხარჯების აღიარება

ორგანიზაცია გასწევს ხარჯების საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში, ასევე აქვს სხვა ხარჯები, რაც არ უკავშირდება მის ძირითად საქმიანობას.

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯების აღიარება დება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლებს შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით.

თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯების აღიარება მოხდება რაციონალური გადაწყველების მეთოდით.

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარ ქმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან აღარ შეესაბამება ბალანსში აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

ფინანსური ხარჯები

სასესხო ვალდებულებების საპროცენტო ხარჯები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარებულია ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი არის ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებადი ღირებულები გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების თუ ხარჯების შესაბამის პერიოდში გადასაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტებს სავარაუდო მომავალში მისაღებ ან გადასახდელ ფულად სახსრებს, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოანგარიშების დროს, ფინანსური ინსტრუმენტებიდან ფულადი ნაკადები უნდა შეფასდეს ყველა საკონტრაქტო პირობის გათვალისწინებით (მაგ., წინასწარი გადახდები, ქოლი და მსგავსი ოფციონები), მაგრამ არ უნდა გაითვალისწინოს მომავალი საკრედიტო დანაკარგები. გამოანგარიშება აგრეთვე შეიცავს ყველა საზღაურსა და გადახდილ ან მიღებულ ერთეულს (აქტივის ნორმალური ღირებულების ცვლილების ყოველი ერთეული) კონტრაქტის მხარეებს შორის, რომლებიც შეადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყრელ ნაწილს, აგრეთვე გარიგების დანახარჯებსა და ნებისმიერ წინასწარ გადახდებს. პრემიებსა თუ ფასდათმობებს.

ძირითადი და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალება, რომელიც აკმაყოფილებს აღიარების კრიტერიუმებს, ფასდება თვითღირებულებით.

ძირითადი საშუალების თვითღირებულება არის აქტივის აღიარების დღეს გადახდილი ფულის ან ფულის ექვივალენტების მოცულობა. თუ აქტივის შეძენისთვის გადახდის ვალდებულება

გადავადებულია ნორმალური საკრედიტო პირობების ფარგლებში, სხვაობა მის ღირებულებასა და სრულ გადასახდელ თანხას შორის აღიარდება, როგორც საპროცენტო ხარჯი კრედიტის მთელი პერიოდის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხდება პროცენტის თანხის კაპიტალიზაცია შეძენილი აქტივის ღირებულებაზე.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალება ფასდება თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი აკუმულირებული ცვეთის /ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, სისტემატიურ საფუძველზე, წრფივი მეთოდით. ცვეთის დარიცხვისას არ გაითვალისწინება აქტივის ნარჩენი ღირებულება.

ორგანიზაციის არამატერიალური აქტივები წარმოდგენილია კომპიუტერული პროგრამების სახით. ისინი ბალანსში აღირიცხება თვითღირებულების და აკუმულირებული ამორტიზაციის სხვაობის თანხით.

არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, სისტემატიურ საფუძველზე, წრფივი მეთოდით.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ცვეთის /ამორტიზაციის გაანგარიშებისათვის გამოყენებული განაკვეთები:

ჯგუფი	%
შენობები	4%, 10%, წრფივი მეთოდით წლის განმავლობაში
ავტომობილები	16.67%, წრფივი მეთოდით წლის განმავლობაში
ავეჯი და ოფისის ინვენტარი	20%, წრფივი მეთოდით წლის განმავლობაში
კომპიუტერები და ტექ. აღჭურვილობა	25%, წრფივი მეთოდით წლის განმავლობაში
არამატერიალური აქტივები	20%, წრფივი მეთოდით წლის განმავლობაში

აქტივების გაუფასურება

ორგანიზაციის თანდართულ ფინანსურ ანგარიშებში ასახულია ბასს 36-ის “აქტივების გაუფასურება” გავლენა, რომელიც, ძალაში შევიდა იმ საანგარიშო პერიოდებისათვის, რომელიც იწყება 2005 წლის 1 იანვრიდან ან მას შემდეგ. ხსენებული სტანდარტი ითვალისწინებს, რომ ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების ღირებულება უნდა გადაფასდეს, როდესაც სახეზეა ამგვარი აქტივის ღირებულების შემცირების შესაძლო ნიშნები.

ბასს 36-ის მოთხოვნის თანახმად აქტივის ღირებულება უნდა იქნას გაანგარიშებული, როგორც უდიდესი ქვემოთმოყვანილი სიდიდეებიდან: რეალიზაციის წმინდა ღირებულება, ან აქტივის გამოყენების მომგებიანობა. რეალიზაციის წმინდა ღირებულება - ეს არის თანხა, რომელიც შეიძლება აქტივის დაუკავშირებელი მხარეებისათვის მიყიდვიდან იქნას მიღებული, რაც ხორციელდება ნორმალურ გარემოებებში გაყიდვაზე გაწეული ხარჯების დაქვითვით.

მოგება აქტივის გამოყენებიდან - ეს არის აქტივის სასარგებლო ექსპლუატაციის პერიოდში მისი გამოყენებიდან ან მისი ლიკვიდაციიდან მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოდინების ნამდვილი ღირებულება. ხსენებული სტანდარტი ითვალისწინებს, რომ აქტივის გამოყენების მომგებიანობის განსზღვრისას ორგანიზაციამ უნდა გამოიყენოს საპროგნოზო ფულადი სახსრები, რომელმაც უნდა ასახოს აქტივის მიმდინარე მდგომარეობა, და წარმოადგენდეს ხელმძღვანელობის მიერ განხორციელებული ხარისხიდან შეფასება იმ ეკონომიკურ პირობებთან

დაკავშირებით, რომელთაც ადგილი ჰქონდათ აქტივის სასარგებლო ექსპლუატაციის დარჩენილ ვადაში. სავარაუდო ფულადი ნაკადები აუცილებლად უნდა დისკონტირდეს იმ განაკვეთით, რომელიც ასახავს ფულის დროში ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებას, და ამ აქტივთან დაკავშირებულ რისკებს .

გადავადებული საგადასახადო აქტივი / ვალდებულება

ორგანიზაციის მიმდინარე საგადასახადო დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯები კორექტირდება გადავადებული თანხებით, რომლებიც წარმოიშობა სხვაობიდან აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებს შორის. ასეთი კორექტირებები გამოიწვევს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების ასახვას.

გადავადებული საგადასახადო აქტივისა და ვალდებულებების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც აქტივის ან ვალდებულების საბალანსო ღირებულება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში განსხვავდება მათი საგადასახადო კუთხით შეფასებული ღირებულებებისგან.

გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება შეზღუდულია იმ შემთხვევაში, როდესაც შესაძლოა წარმოიშვას დასაბეგრი მოგება, და მან გაანეიტრალოს სხვაობა საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის.

აქტივის ან ვალდებულების თანხა განისაზღვრება იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებს მოცემულ საანგარიშო პერიოდში, და მოსალოდნელია მისი გამოყენება გადავადებული აქტივის / ვალდებულების დაფარვის მომენტში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ორგანიზაციის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

5. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მართვა

რისკის მართვა არსებითად მნიშვნელოვანია ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობაში, ის ოპერაციების ძირითადი ელემენტია. სს მისო „ფინაგრო“-ს წინაშე მდგარი რისკებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ის, როელიც უკავშირდება საბაზრო რისკს, რომელიც მოიცავს ღირებულების, საპროცენტო განაკვეთის, სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკებს, რისკების მართვა წარმოებს შემდეგნაირად:

საბაზრო რისკი

ღირებულების რისკი არის საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების მერყეობის რისკი. ფინანსური ინსტრუმენტის ფასი იმერყევის საბაზრო ფასების ცვლილებასთან დაკავშირებით, აღნიშნული ცვლილებები გამოწვეულია

ფაქტორებით, რომლებიც სპეციფიურია კონკრეტული ინსტრუმენტისათვის, ან ფაქტორების გამო, რომლებიც გავლენას ახდენს ყველა ინსტრუმენტზე, რომლებიც იყიდება ბაზარზე. ღირებულების რისკი წარმოიქმნება, როდესაც სს მისო „ფინაგრო“-ს სასწრაფო გარიგებით ახდენს შემცირება/მომატებას ფინანსურ ინსტრუმენტში.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს ფინანსური ზარალის რისკს, რომელიც გამოწვეულია მსესხებლის მიერ სს მისო „ფინაგრო“ წინაშე აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობით. სს მისო „ფინაგრო“ შემუშავებული აქვს პოლიტიკა და პროცედურები საკრედიტო რისკის მართვისათვის. უნდა განსაზღვროს საკრედიტო რისკის დონესთან დაკავშირებული ლიმიტები და რეგულარულად მოახდინოს მათი მონიტორინგი. სს მისო „ფინაგრო“-მ რეგულარულად უნდა მოახდინოს საკრედიტო დაბანდებების მონიტორინგი და მომხმარებლის კრედიტუნარიანობის გადაფასება, უნდა განხორციელდეს მთლიანი საკრედიტო პორტფელის და კრედიტის კონცენტრაციის შეფასება, საკრედიტო რისკის უკეთ მართვის თვალსაზრისით.

სააქციო საზოგადოების ძირითადი საქმიანობა მიკრო სესხების გაცემაა და შესაბამისად, საკრედიტო რისკი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს მისო-ს რისკების მართვაში. ორგანიზაციისთვის საკრედიტო რისკი დგება მაშინ, თუ მსესხებელი ვერ ასრულებს ხელშეკრულების მიხედვით დადგენილ სასესხო ვალდებულებებს. იმისათვის, რომ მსგავსმა შემთხვევებმა ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არ დააზარალოს, გამოიყენება სხვადასხვა სამუშაო მეთოდი, რაც უზრუნველყოფს საკრედიტო რისკების დროულად იდენტიფიცირებას და მათ ეფექტურად მართვას.

ორგანიზაციაში წარსული გამოცდილების გათვალისწინებით, შემუშავებულია საკრედიტო პოლიტიკა, სადაც საკრედიტო რისკის მართვის ძირითადი ეტაპებია წარმოდგენილი:

- საკრედიტო კომიტეტის საქმიანობა;
- გაცემული სესხების მონიტორინგი;
- პრობლემურ სესხებზე მუშაობა.

საკრედიტო კომიტეტი არის ანალიტიკური ორგანო, რომელსაც ევალება კომიტეტზე წარმოდგენილი სესხის განაცხადში მოცემული ინფორმაციის ანალიზი, საკრედიტო რისკების განსაზღვრა და მინიმუმამდე დაყვანა, ის უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება არსებული სესხის განაცხადის დაფინანსება/არადაფინანსების შესახებ. საკრედიტო კომიტეტში შედიან საკრედიტო მენეჯერები, შეგროვების მენეჯერები და ფილიალის მმართველი. იმ საკრედიტო მენეჯერს, რომელიც მონაწილეობას იღებს სასესხო ფაილის მომზადებაში, არ აქვს ხმის მიცემის უფლება საკრედიტო კომიტეტში. სესხის დამტკიცება წარმოებს მხოლოდ უფლებამოსილი პირების ან საკრედიტო კომიტეტის მიერ. საკრედიტო კომიტეტი უნდა შედგებოდეს სულ მცირე 3 წევრისაგან, კომიტეტის წევრთა რაოდენობა განსაზღვრულია სასესხო განაცხადის სახეობისა და სიდიდის მიხედვით, მაგალითად: წნორისა და თელავის ფილიალებს შეუძლიათ ადილობრივი კომიტეტის დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში გასცენ 20,000 ლარამდე სესხები, ხოლო მარნეულის ფილიალი უფლებამოსილია, ადგილობრივი კომიტეტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას დაეყრდნოს 5,000 ლარამდე სესხზე განაცხადის შემოსვლის დროს. ისეთი სესხის განაცხადის განხილვა, რომელიც აღემატება 20,000 ლარს, აგრეთვე უარყოფითი საკრედიტო ისტორიის მქონე სესხების დამტკიცება ხდება მეორე დონის საკრედიტო კომიტეტის მიერ, რომელშიც შედიან: „ფინაგროს“ ფინანსური დირექტორი, საკრედიტო განყოფილების უფროსი და იურისტი.

საკრედიტო კომიტეტის გადაწყვეტილებები იყოფა შემდეგ კატეგორიებად: თანხმობა, თანხმობა სხვადასხვა პირობებით, პროექტის ახლიდან წარმოდგენის რჩევა ან უარის თქმა. დამტკიცებულად ითვლება ის სესხი, რომელსაც დადებითად შეაფასებს საკრედიტო კომიტეტის სამივე წევრი. კომისიის ორი წევრის თანხმობის შემთხვევაში საბოლოო გადაწყვეტილებას სესხის დამტკიცების ან არ დამტკიცების შესახებ პირბელ დონეზე იღებს - ფილიალის მმართველი, ხოლო მეორე დონეზე: გენერალური ან ფინანსური დირექტორი.

სესხის პორტფელის მართვა ხდება დიფერენცირებული წლიური სარგებლის განაკვეთით. საკრედიტო რისკის შემცირება ხდება ასევე სესხის უძრავი ქონებით, ან სხვა მატერიალურად ფასეული ნივთით უზრუნველყოფის საფუძველზე. დაფინანსებული ბიზნესების სრულყოფილი მონიტორინგი და ამის საფუძველზე მსესხებელთა გადახდისუნარიანობის კონტროლი საშუალებას იძლევა დროულად იქნას თავიდან აცილებული ფულადი ზარალის მიღების რისკი. მონიტორინგს ახორციელებს სესხის ოფიცრები და მის შედეგებს წარუდგენენ ხელმძღვანელობას. ორგანიზაციაში არ არის განსაზღვრული მონიტორინგის ჩატარების სიხშირე.

ორგანიზაციაში დაგვიანებულ სესხად ითვლება მსესხებლის მიერ გრაფიკის მიხედვით დასაბრუნებელი სესხის ძირის ყველა ნაწილი, რომლის გადახდაც არ განხორციელებულა მოცემული გრაფიკით გათვალისწინებულ დროს, ან მოხდა დასაფარი თანხის არასრული გადახდა.

ფინანსური დირექტორი საკრედიტო კომიტეტთან ერთად პასუხისმგებელია სესხების კლასიფიცირებაზე რისკზე შეფასების სისტემის მიხედვით. საკრედიტო პოლიტიკის მიხედვით ხდება შესაძლო დანაკარგების ანარიცხების შექმნა: უფირველეს ყოვლისა, სესხის ოფიცერს ევალება სესხის გადახდის ერთდღიან დაგვიანებაზეც კი მოახდინოს რეაგირება. ხელმძღვანელობა კი ყოველთვიურად აანალიზებს დაგვიანებული სესხების მონაცემებს და აკონტროლებს მსგავს სესხებთან მუშაობის პროცესს. დაგვიანებული სესხები კლასიფიცირებულია ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით და სარეზერვო პოლიტიკის მიხედვით ხდება მათი დარეზერვება, რათა ორგანიზაციამ საკრედიტო რისკის ეფექტი გადაანაწილოს სხვადასხვა პერიოდებზე.

სააქციო საზოგადოება მიზნად ისახავს, გაუწიოს ფინანსური დახმარება უპირატესად საქართველოს სასოფლო სამეურნეო რეგიონებში მოღვაწე ფერმერებს, წვრილ და საშუალო მეწარმეებს, რომლებიც აქტიურად არიან ჩაბმული სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადამუშავების, რეალიზაციის, მომსახურებისა და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ სხვა სფეროებში. აღნიშნული სეგმენტის საქმიანობა საკმაოდ დიდ გარე რისკებთან არის დაკავშირებული, ამიტომ ზოგადი რისკების გასანეიტრალებლად, ორგანიზაციას საბანკო პროდუქტებისგან განსხვავებით, სესხის პროდუქტებზე დაწესებული აქვს უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთი.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი იმისა, რომ საპროცენტო განაკვეთში მომხდარმა ცვლილებებმა შეიძლება ზეგავლენა იქონიოს სს მისო „ფინაგრო“-ს შემოსავლებზე ან ფინანსური ინსტრუმენტების პორტფელზე. სს მისო „ფინაგრო“-ს ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე ზეგავლენას ახდენს საბაზრო საპროცენტო განაკვეთების არსებული დონეების მერყეობა. ამგვარმა ცვლილებებმა შესაძლოა გამოიწვიოს საპროცენტო მარჟების ზრდა ან შემცირება და გამოიწვიოს ზარალი მოულოდნელი ცვლილებების დადგომისას. საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვა ხორციელდება ძირითადად საპროცენტო განაკვეთების გაპეზზე მონიტორინგის გზით. საპროცენტო განაკვეთის რისკები დგება მაშინ, როცა დაფარვის იმავე

ვადაში არსებულ ფაქტიური ან საპროგნოზო აქტივები ან ნაკლებია ან აღემატება დაფარვის იმავე ვადაში არსებულ ფაქტიურ თუ საპროგნოზო ვალდებულებებს.

სავალუტო რისკები

სავალუტო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვალებადობის რისკი, გამოწვეული ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობით. სს მისო „ფინაგრო“-ს ფინანსური პოზიცია და ფულადი ნაკადები არ ექვემდებარება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის განსაკუთრებულ ცვალებადობის ზეგავლენას, რადგან არ ვრცელდება ბანკში განთავსებულ უცხოურ ვალუტაში არსებულ ფულს და მისი პორტფელის ღირებულებას.

	GEL	USD	EUR	სულ
ფინანსური აქტივები				
მთლიანი სესხის პორტფელი	1,125,564	5,175,574	8,066	6,309,203
სესხის დანაკარგების ანარიცხები	(80,334)	(395,357)	(3,774)	(479,465)
წმინდა სესხის პორტფელი	1,045,230	4,780,217	4,291	5,829,738
სულ ფინანსური აქტივები	1,045,230	4,780,217	4,291	5,829,738
ფინანსური ვალდებულებები				
სესხი	353,028	1,722,908		
სულ ფინანსური ვალდებულებები	353,028	1,722,908	-	2,075,937
სხვაობა	692,202	3,057,308	4,291	3,753,802

ლიკვიდურობის რისკები

ლიკვიდურობის რისკები წარმოადგენენ რისკებს იმის თაობაზე, რომ სს მისო „ფინაგრო“-მ შესაძლოა განიცადოს სირთულეები სახსრების მოპოვებაში ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებაში. სს მისო „ფინაგრო“ ინერჯუნებს ლიკვიდურობის მართვას იმის უზრუნველყოფით, რომ რეზერვები იქნება ხელმისაწვდომი ყველა პერიოდში, რათა მოხდეს შესაბამისი ვალდებულებების შესრულება ფულადი სახსრების მოძრაობასთან დაკავშირებით, როდესაც დგება გადახდის მომენტი.

ლიკვიდურობის რისკს ადგილი აქვს, როდესაც აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადებს შორის აღინიშნება რაიმე სხვაობა. ლიკვიდურობის რისკების მართვის მიზნით, სს მისო „ფინაგრო“ აწარმოებს კლიენტების ოპერაციებზე მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ყოველდღიურ მონიტორინგს, რომელიც წარმოადგენს აქტივების/ვალდებულებების მართვის პროცესისი განუყოფელ ნაწილს.

სს მისო „ფინაგრო“ ახდენს დროის გაურკვეველ მონაკვეთებში ლიკვიდურობის უზრუნველყოფისათვის საჭირო ფულადი ნაკადების დადგენას და ლიკვიდური აქტივების დონის შენარჩუნებას.

	1 წლამდე	1 წელი და მეტი	სულ
ფინანსური აქტივები			
მთლიანი სესხის პორტფელი	2,712,185	3,597,019	6,309,203
სესხის დანაკარგების ანარიცხები	(200,680)	(278,786)	(479,465)
წმინდა სესხის პორტფელი	2,511,505	3,318,233	5,829,738
სულ სარგებლის მატარებელი ფინანსური აქტივები	2,712,185	3,597,019	6,309,203
ფული და ფულის ექვივალენტები	643,538		643,538
სულ ფინანსური აქტივები	3,355,723	3,597,019	6,952,741
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები		2,075,937	2,075,937
სულ სარგებლის მატარებელი ფინანსური ვალდებულებები	-	2,075,937	2,075,937
სულ ფინანსური ვალდებულებები	-	2,075,937	2,075,937
ლიკვიდურობის სხვაობა	3,355,723	1,521,082	4,876,804
კუმულაციური ლიკვიდურობის სხვაობა	3,355,723	4,876,804	9,753,609
პროცენტის ცვლილებისადმი მგრძნობიარე აქტივებსა და ვალდებულებებს შორის სხვაობა	2,712,185	1,521,082	4,233,266
პროცენტის ცვლილებისადმი მგრძნობიარე აქტივებსა და ვალდებულებებს შორის კუმულაციური სხვაობა	2,712,185	4,233,266	8,466,533
პროცენტის ცვლილებისადმი მგრძნობიარე აქტივებსა და ვალდებულებებს შორის კუმულაციური სხვაობა, წილი მთლიანი აქტივებიდან	39.01%	60.89%	100.00%

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვის მიზანია სს მისო „ფინაგრო“-მ შეძლოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე მუშაობა, რათა სესხებისა და კაპიტალის ნაშთების ოპტიმიზაციის საშუალებით მაქსიმალური გაზაღდოს აქციონერთა უკუგება.

6. სესხის პორტფელი

სესხების პორტფელი 31 დეკემბრისათვის მოიცავს

	2010	წილი
სესხის ძირი		
სოფლის მეურნეობა	4,778,588	80.06%
მიკრო-ბიზნეს სესხი	806,815	13.52%
სამომხმარებლო	337,239	5.65%
გადამამუშავებელი მრეწველობა	21,461	0.36%
სხვა	24,680	0.41%
სულ სესხის ძირი	5,968,783	100%
სესხის ძირის დანაკარგის ანარიცხი	(376,045)	(6.30%)
წმინდა სესხის ძირი	5,592,738	93.70%
მისაღები სარგებელი და ჯარიმა		
სოფლის მეურნეობა	305,944	89.87%
მიკრო-ბიზნეს სესხი	26,644	7.83%
სამომხმარებლო	7,274	2.14%
გადამამუშავებელი მრეწველობა	240	0.07%
სხვა	319	0.09%
სულ მისაღები სარგებელი და ჯარიმა	340,421	100%
სესხის პროცენტებისა და საურავის დანაკარგის ანარიცხი	(103,421)	(30.38%)
წმინდა სესხის სარგებელი და ჯარიმა	237,000	69.62%
მთლიანი სესხის პორტფელი	6,309,203	100%
პორტფელის დანაკარგის ანარიცხი	(479,465)	(7.60%)
წმინდა სესხის პორტფელი	5,829,738	92.40%

ცვლილებები სესხის დანაკარგების ანარიცხებში

	2010
საექვო ვალების ანარიცხები 1 იანვარისთვის	357,147
საექვო ვალების ანარიცხების ხარჯი	365,444
სესხების (ჩამოწერა) / აღდგენა	(243,126)
საექვო ვალების ანარიცხები 31 დეკემბრისთვის	479,465

სესხების (ჩამოწერა)/აღდგენა

	2010
სესხის ძირის ჩამოწერა	(160,309)
სარგებლის ჩამოწერა	(81,179)
ჯარიმის ჩამოწერა	(12,365)
სესხის ძირის აღდგენა	10,727
	(243,126)

სესხის დანაკარგების განგარიშება 2010 წლის 31 დეკემბრისათვის

სესხის ძირი

	სოფლის მეურნეობა	მიკრო-ბიზნეს სესხი	სამომხმ არებლო	გადამამუშ ავებელი მრეწველობა	სხვა	სულ	წილი	საეჭვო და უიმედო სესხების ანარიცხები	
								%	თანხა
მიმდინარე 1-30 დღის ვადაგადაცილებით	4,256,728	757,144	330,640	21,461	22,940	5,388,912	90.28%	1.5%	80,834
ვადაგადაცილებით 31-60 დღის	12,325	6,178	4,809	-	-	23,312	0.39%	15%	3,497
ვადაგადაცილებით 61-90 დღის	67,365	3,551	-	-	-	70,916	1.19%	30%	21,275
ვადაგადაცილებით 91-180 დღის	1,302	5,126	1,111	-	-	7,539	0.13%	50%	3,769
ვადაგადაცილებით 180 დღეზე მეტი	83,225	3,018	678	-	-	86,922	1.46%	75%	65,191
ვადაგადაცილებით	105,337	31,167	-	-	1,740	138,244	2.32%	100%	138,244
	4,526,281	806,184	337,239	21,461	24,680	5,715,845	95.76%		312,810
რესტრუქტურიზებული									
მიმდინარე	252,307	630	0	-	-	252,938	4.24%	25%	63,234
	252,307	630	0	-	-	252,938	4.24%		63,234
	4,778,588	806,815	337,239	21,461	24,680	5,968,783	100%		376,045

მისაღები სარგებელი და ჯარიმა

	სოფლის მეურნეობა	მიკრო-ბიზნეს სესხი	სამომხმ არებლო	გადამამუშ ავებელი მრეწველობა	სხვა	სულ	წილი	საეჭვო და უიმედო სესხების ანარიცხები	
								%	თანხა
მიმდინარე 1-30 დღის ვადაგადაცილებით	141,704	18,948	7,012	240	319	168,223	49.42%	1.5%	2,523
ვადაგადაცილებით 31-60 დღის	789	165	122	-	-	1,075	0.32%	15%	161
ვადაგადაცილებით 61-90 დღის	22,365	174	-	-	-	22,540	6.62%	30%	6,762
ვადაგადაცილებით 91-180 დღის	70	367	84	-	-	521	0.15%	50%	260
ვადაგადაცილებით 180 დღეზე მეტი	28,450	190	56	-	-	28,696	8.43%	75%	21,522
ვადაგადაცილებით	49,682	6,784	-	-	-	56,467	16.59%	100%	56,467
	243,061	26,628	7,274	240	319	277,522	81.52%		87,696
რესტრუქტურიზებული									
მიმდინარე	62,883	16	-	-	-	62,899	18.48%	25%	15,725
	62,883	16	-	-	-	62,899	18.48%		15,725
	305,944	26,644	7,274	240	319	340,421	100.00%		103,421

პორტფელის სტრუქტურა სესხების რაოდენობის მიხედვით

	სოფლის მეურნეობა	მიკრო- ბიზნეს სესხი	სამომხმ არებლო	გადამამუ შავებელი მრეწველო ბა	სხვა	სულ	წილი
მიმდინარე	778	252	130	1	4	1,165	91.16%
1-30 დღის ვადაგადაცილებით	9	3	2	0	0	14	1.10%
31-60 დღის ვადაგადაცილებით	13	4	0	0	0	17	1.33%
61-90 დღის ვადაგადაცილებით	2	2	1	0	0	5	0.39%
91-180 დღის ვადაგადაცილებით	9	3	1	0	0	13	1.02%
180 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	33	12	0	0	1	46	3.60%
	844	276	134	1	5	1,260	98.59%
რესტრუქტურირებული							
მიმდინარე	17	1	0	0		18	1.41%
	17	1	0	0	0	18	1.41%
	861	277	134	1	5	1,278	100%

სოფლის მეურნეობის პორტფელის სტრუქტურა დარგების მიხედვით

	სესხების რაოდენობა	პორტფელი	წილი პორტფელიდან
დარგი			
ხილის წარმოება	222	826,694	16.26%
ბოსტნეულის წარმოება	84	327,694	6.44%
მარცვლეულის წარმოება	187	1,420,349	27.93%
მარცვლეულის გადამამუშავება	2	13,955	0.27%
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი			
ხორცის წარმოება	215	1,347,509	26.50%
ღორის ხორცის წარმოება	9	52,600	1.03%
მეფრინველეობა	10	114,816	2.26%
მეთევზეობა (კალმახი)	6	84,072	1.65%
მევენახეობა	59	330,362	6.50%
ცხვრის ხორცის წარმოება	7	37,689	0.74%
კარტოფილის წარმოება	2	10,327	0.20%
სოკოს წარმოება	2	226,126	4.45%
აგროვაჭრობა	54	289,534	5.69%
აგროსერვისი	2	2,806	0.06%
სულ:	861	5,084,533	100.00%

7. გადავადებული საგადასახადო აქტივი

	ფინ.ბაზა	სავ.ბაზა	განსხვავება	მოგების გადასახადის %	მოგების გადასახადი
ძირითადი საშუალებები	256,630	100,363	(156,267)	15%	(23,440)
წმინდა სესხის პორტფელი	5,829,738	6,309,203	479,465	15%	71,920
	-	-	-	15%	-
ჯამი	6,086,368	6,409,566	323,198		48,480
	აქტივი	ვალდებულება	წმინდა	დაკრედიტებული მოგება/ზარალში	დაკრედიტებული კაპიტალში
ძირითადი საშუალებები	-	(23,440)	(23,440)	(5,448)	-
წმინდა სესხის პორტფელი	71,920	-	71,920	18,348	-
	-	-	-	-	-
	71,920	(23,440)	48,480	12,900	-
	(23,440)	23,440		-	
წმინდა საგადასახადო აქტივი/ვალდებულება	48,480	-	48,480	12,900	-

8. გრანტები კაპიტალში

სს მისო “ფინაგრო“-სა და “UNITED DEVELOPMENT PROGRAME – GEORGIA“-ს შორის 29.06.2009; 14.12.2009; 19.04.2010 წლებში გაფორმებული სამი „MICRO-CAPITAL GRANT AGREEMENT“ ხელშეკრულებების ფარგლებში სს მისო “ფინაგრომ“ სამ ტრანშად მიიღო თანხები, ჯამში 507, 540 ლარი. 2009 საანგარიშგებო წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ამ თანხის ნაწილი კლასიფიცირებული იყო, როგორც დროებითი შეზღუდული შემოსავალი მიღებული გრანტიდან. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების პირნათლად შესრულებისათვის აღნიშნული თანხა 2010 წლის ნოემბერში გადაეცა სს მისო “ფინაგროს“ და გადაცემისთანავე აღიარდა ერთობლივ შემოსავალში.

9. კრედიტორული დავალიანება

კრედიტორული დავალიანება მოიცავს გადასახდელ პროცენტებს საფინანსო ორგანიზაციების სესხების მიხედვით და სხვა ვალდებულებებს.

10. საგადასახადო ვალდებულება

მოგების გადასახადი 15%-იანი განაკვეთით	178,179
ბიუჯეტში მიმდინარე გადასახადები	(45,390)
	132,789

11. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს:

	შენობა- ნაგებობები	კომპიუტერები და სხვა ტექნიკური აღჭურვილობა	ავტო და ოფისის ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	არამატერიალური აქტივი	სხვა საოფისე ინვენტარი	სულ
ისტორიული ღირებულება							
ისტორიული ღირებულება 31.12.2007	45,100	28,918	22,295	80,600	1,850	-	178,763
შემოსვლა	33,300	2,863	3,822	40,512	-	-	80,497
გასვლა	-	-	-	(17,800)	-	-	(17,800)
ისტორიული ღირებულება 31.12.2008	78,400	31,780	26,117	103,312	1,850	-	241,459
შემოსვლა	14,020	12,957	5,491	42,600	-	110	75,178
გასვლა	-	(1,845)	(920)	(7,100)	-	-	(9,865)
ისტორიული ღირებულება 31.12.2009	92,420	42,893	30,688	138,812	1,850	110	306,773
შემოსვლა	-	18,075	8,825	47,981	1,319	2,764	78,963
გასვლა	-	(4,700)	(1,105)	(8,000)	-	-	(13,805)
ისტორიული ღირებულება 31.12.2010	92,420	56,267	38,408	178,793	3,169	2,874	371,931
დაგროვილი ცვეთა							
დაგროვილი ცვეთა 31.12.2007	(568)	(654)	(557)	(1,693)	(47)	-	(3,520)
ცვეთა 2008	(4,556)	(7,649)	(4,985)	(17,963)	(370)	-	(35,522)
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა 2008	-	-	-	2,125	-	-	2,125
დაგროვილი ცვეთა 31.12.2008	(5,124)	(8,303)	(5,542)	(17,531)	(417)	-	(36,917)
ცვეთა 2009	(5,927)	(8,581)	(5,831)	(17,688)	(370)	(15)	(38,412)
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა 2009	-	981	391	2,464	-	-	3,836
დაგროვილი ცვეთა 31.12.2009	(11,051)	(15,903)	(10,982)	(32,756)	(787)	(15)	(71,493)
ცვეთა 2010	(6,087)	(12,482)	(6,595)	(26,054)	(497)	(95)	(51,810)
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა 2010	-	3,654	691	3,657	-	-	8,002
დაგროვილი ცვეთა 31.12.2010	(17,139)	(24,731)	(16,886)	(55,152)	(1,284)	(110)	(115,301)
ნარჩენი ღირებულება							
ნარჩენი ღირებულება 31.12. 2007	44,532	28,263	21,738	78,907	1,803	-	175,243
ნარჩენი ღირებულება 31.12. 2008	73,276	23,477	20,575	85,781	1,433	-	204,543
ნარჩენი ღირებულება 31.12. 2009	81,369	26,989	19,706	106,056	1,063	95	235,279
ნარჩენი ღირებულება 31.12. 2010	75,281	31,537	21,522	123,641	1,885	2,764	256,630

12. გრძელვადიანი სესხი

- ორგანიზაციას 2007 წლის 19 ნოემბერს დამფუძნებლისგან (სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი) მიღებული აქვს 5 წლიანი სესხი, რაც შეადგენს 53 028 ლარს. ხელშეკრულების მიხედვით სესხის თანხა მთლიანად უნდა დაიფაროს 2012 წლის 19 ნოემბერს.
- ორგანიზაციას 2010 წლის 26 აპრილს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსგან არასაბანკო ფინანსური დაწესებულების მეორადი სესხის ხელშეკრულების ფარგლებში ქვეპროექტებზე მიღებული აქვს სესხის უფლება (წლიური LIBOR+2 დოლარში მიღებულ სახსრებზე; ინფლაციას+2.5 ლარში მიღებულ სახსრებზე) რომელებიც ტრანშების სახით 2010 წლის განმავლობაში მიღებული აქვს ორგანიზაციას (ჯამურად 2022908,64 ლარი) შემდეგ თარიღებში:

04.05.2010 - 299985	ამერიკული დოლარი
18.06.2010 - 19615,36	ამერიკული დოლარი
09.07.2010 - 17257,17	ამერიკული დოლარი
26.07.2010 - 335000	ამერიკული დოლარი
02.08.2010 - 300000	ქართული ლარი
26.10.2010 - 300000	ამერიკული დოლარი

13. სააქციო კაპიტალი

აქციონერი	აქციების რაოდენობა	წილი %	ნომინალი	კაპიტალი (ლარი)
სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი	3,671,370	100	1	3,671,370

2010 წლის მოგება დაბეგვრის შემდეგ	128,898
ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა	3,671,370
შემოსავალი აქციაზე	0.035

14. შემოსავლები

საპროცენტო შემოსავალი

სესხის ტიპიდან და მოცულობიდან გამომდინარე, საპროცენტო განაკვეთი ძირითადად მერყეობს 18%-დან 38%-მდე. იხილეთ საპროცენტო შემოსავალი სესხის ტიპის მიხედვით:

	2010
სოფლის მეურნეობა	999,357
მიკრო-ბიზნეს სესხი	168,731
სამომხმარებლო	70,527
გადამამუშავებელი მრეწველობა	4,488
სხვა	5,161
	1,248,264

ფინანსური მომსახურების საკომისიო

ფინანსური მომსახურების საკომისიო მოიცავს მსესხებლების მიერ სესხის აღების დროს გადახდილ საკომისიოებს (აღებული სესხის 1%-2,5%)

	2010
სოფლის მეურნეობა	122,751
მიკრო-ბიზნეს სესხი	20,725
სამომხმარებლო	8,663
გადამამუშავებელი მრეწველობა	551
სხვა	634
	153,324

შემოსავალი ჯარიმებიდან

	2010
სოფლის მეურნეობა	23,350
მიკრო-ბიზნეს სესხი	3,942
სამომხმარებლო	1,648
გადამამუშავებელი მრეწველობა	105
სხვა	121
	29,166

15. შემოსავალი სხვა ოპერაციებიდან

შემოსავალი სხვა ოპერაციებიდან მოიცავს:

	2010
პროცენტის აღდგენა	2,452
საურავის აღდგენა	1,034
სასამართლო და სააღსრულებლო ხარჯის აღდგენა	3,172
სხვა შემოსავლები	5,128
ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული შემოსავალი	4,382
	16,168

16. საპროცენტო ხარჯი

ორგანიზაციას 2010 წლის 26 აპრილს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსგან არასაბანკო ფინანსური დაწესებულების მეორადი სესხის ხელშეკრულების ფარგლებში ქვეპროექტებზე მიღებული აქვს სესხი (წლიური LIBOR+2 დოლარში მიღებულ სახსრებზე; ინფლაციას+2.5 ლარში მიღებულ სახსრებზე) რომელზეც ტრანშების სახით 2010 წლის განმავლობაში მიღებული აქვს ორგანიზაციას (ჯამურად 2022908,64 ლარი). დარიცხული საპროცენტო ხარჯი 31 დეკემბრისათვის განისაზღვრა პროცენტების ზემოთ მოყვანილი განაკვეთების დარიცხვით და შეადგინა 30,277 ლარი.

17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ადმინისტრაციული ხარჯები	2010
შრომის ანაზღაურება	(535,936)
საწვავის ხარჯი	(70,945)
საკომუნიკაციო ხარჯი	(16,170)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	(51,810)
კომუნალური მომსახურების ხარჯი	(8,514)
ოფისის ინვენტარის ხარჯი	(6,447)
საკანცელარიო ხარჯი	(5,110)
სხვა საექსპლუატაციო ხარჯები	(16,064)
რემონტის ხარჯი	(16,461)
დაცვის ხარჯი	(3,019)
სხვა ხარჯები	(4,177)
ბანკის საკომისიო	(10,970)
	(745,623)

18. საგადასახადო ხარჯი

	2010
საშემოსავლოს ხარჯი	(133,984)
ქონების გადასახადი	(2,481)
სოციალური გადასახადი	-
მიწის გადასახადი	(336)
	(136,801)

19. სხვა ხარჯები	2010
წარმომადგენლობითი ხარჯი	(13,107)
ზარალი ძირითადი საშალებების გასვლიდან და გადაფასებიდან	(9,805)
საკონსულტაციო ხარჯი	(17,728)
სასამართლოს ხარჯი	(10,748)
გადახდილი ჯარიმები	(6,233)
კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული ზარალი	(436,818)
კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული მოგება	619,839
	125,400

20. მოგების გადასახადის ხარჯი

მოგების გადასახადი 15%-იანი განაკვეთით	(178,179)
გადავადებული მოგების გადასახადი 15%-იანი განაკვეთით	12,900
მოგების გადასახადთან დაკავშირებული ხარჯები	(165,279)

ეფექტური საგადასახადო განაკვეთის მოქმედთან შეთანხმება

მოგება დაბეგვრამდე	294,177
მოგების გადასახადის პროცენტი	15%
თეორიული მოგების გადასახადი	(44,127)
მუდმივი სხვაობა	(121,152)
მოგების გადასახადის ხარჯი	(165,279)

21. ფული და ფულის ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები 31 დეკემბრისათვის მოიცავს:

	2010
ფული ბანკში (ვი-თი-ბი ბანკი)	586,117
ფული ბანკში (თი-ბი-სი ბანკი)	35,925
ფული ბანკში (პროკრედიტ ბანკი)	20,413
ფული ბანკში (საქართველოს ბანკი)	1,083
	643,538

22. ინსაიდერებზე გადაცემული სესხები

ორგანიზაცია დაარსებიდანვე დაიწყო ინსაიდერებზე სესხის გაცემა. ინსაიდერებზე სესხები გაცემულია ორგანიზაციის მიერ შემუშავებული სასესხო პოლიტიკის შესაბამისად.

	სახელი გვარი	ხანგრძლივობა	ხელშ. ნომერი	პროცენტი	თანხა	პროცენტი
1	ანდრია საგანელიძე	12	01/0611A/10L	18.00%	1250	131.1
2	ინგა ფიცხელაური	13	01/0562A/10	18.00%	2500	273.27
3	ზვიად ხაჩიშვილი	20	01/0658A/10D	20.00%	1000	93.1
4	ფატმანი სამხარაძე	13	01/0540A/10	18.00%	700	76.52
5	დავით წულაია	25	01/0520A/10	18.00%	7000	2212.2
6	ელგუჯა ჭონიშვილი	12	01/0629A/10L	16.00%	900	78.8
7	ანდრია საგანელიძე	12	10/0527A/10	18.00%	500	46.75
8	ემზარ ნანოშვილი	8	01/0577A/10	18.00%	2500	157.26
9	ელენე ნადიაშვილი	12	01/0638A/10L	16.00%	550	48.42
10	ვაჟა ზაუტაშვილი	24	01/0530A/10	18.00%	6500	1909.43
სულ					23400	5026.85

23. საქმიანობის უწყვეტობა

ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისეთი დაშვების საფუძველზე, რომელიც გულისხმობს, რომ ორგანიზაცია განაგრძობს ფუნქციონირებას განუსაზღვრელი დროით მომავალში. ეს ვარაუდი ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეული საქმიანობის პროცესში.

24. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ორგანიზაციის შიგნით მიმდინარე მოვლენები

ორგანიზაციამ 2010 წლის 26 აპრილს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსგან, არასაბანკო ფინანსური დაწესებულების მეორადი სესხის ხელშეკრულების ფარგლებში 2011 წლის 24 მარტს მიიღო რიგით მეშვიდე ტრანში 95000 დოლარი. ხოლო 2011 წლის 18 აპრილს მერვე ტრანში 55990 დოლარის ოდენობით.

ორგანიზაციის გარეთ მიმდინარე მოვლენები

ახალი კოდექსი ძალაში შევა 2011 წლის 1 იანვრიდან. წინასწარი ინფორმაციით, მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ცვლილებები მაინც გამოკვეთილია. ახალი კოდექსის მიხედვით, გადავადდება მომავალი წლიდან მოსალოდნელი საგადასახადო განაკვეთების შემცირება. ახალი საგადასახადო განაკვეთები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

გადასახადის დასახელება	წელი	პროცენტი
საშემოსავლო	2011	20%
	2012	20%
	2013	18%
	2014	15%
გაცემული დივიდენდი	2011	5%
	2012	5%
	2013	3%
	2014	0%
გაცემული პროცენტი	2011	5%
	2012	5%
	2013	5%
	2014	0%
გადახდილი როიალტი	2011	20%
	2012	20%
	2013	18%
	2014	15%
რეზიდენტ ფიზიკურ პირებზე გადახდილი იჯარა	2011	20%
	2012	20%
	2013	18%
	2014	15%